საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 24 სექტემბერი, 2013 წელი.

№182 (7309)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

4

„ეთიკა ბრალიზა: ...ეს ფიდი მეცდინეობა ეუმეს სასაქმეოლ“

ნუ დავიქსაქსებით, ერთანმეფეულნი!

3



მამუკა არეშიძე:

აფხაზეთის დექართველიზაციის მორიგ მცდელობას ხელი არ უნდა შევუწყოთ!

6

არც აფხაზეთი და არც ე.წ. სამხრეთი ოსეთი სოჭის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას არ მიიღებენ

2

გახელაძე თალლითია!

7

ამბობს გოგა ხაინდრავა და პარლამენტისგან ამ უმსგავსობისთვის წერტილის დასმას მოითხოვს

დიპლომატია და ნებისყოფის მორიგი გამოცდა საქართველოსთვის

5

კიმონოიანთა უხვი ნადავლი

10

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი

არც აფხაზეთი და არც ე.წ. სამხრეთი ოსეთი სოჭის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას არ მიიღებენ

ამის შესახებ რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის სპეციალურმა წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე განმარტებით, ქართული მხარე აღნიშნულის შესაძლებლობას თეორიულადაც კი არ უშვებს.

— იყო შემთხვევა, რომ რომელიღაც ჟურნალისტურმა ასოციაციამ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთი ოსეთი ოლიმპიადის მონაწილე მხარეებად დააფიქსირა. ამის შესაბამისად გადაიდგა სათანადო ნაბიჯები — ჩვენმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მსოფლიო ოლიმპიურ კომიტეტს მიმართა და ვფიქრობ, ეს პრობლემა უკვე მოიხსნა. ყოველ შემთხვევაში ოლიმპიური კომიტეტის არც ერთ ვებ-გვერდზე აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთი ოსეთი დამოუკიდებელ მონაწილეებად არ ფიგურირებენ. თეორიულადაც ვერ დავუშვებთ, რომ ასეთი რაღაც შეიძლება მოხდეს, — აღნიშნა ზურაბ აბაშიძემ.

ზურაბ აბაშიძემ ვრცლად ისაუბრა კარასინთან შეხვედრის დროს განხილულ სხვა საკითხებზეც.

მისივე განმარტებით, იმ მანდატის ფარგლებში, რასაც მასსა და გრიგორი კარასინს შორის შეხვედრები გულისხმობს, პოზიტიური დინამიკა ფიქსირდება.

— ამ მანდატის ფარგლებში განსახილველ საკითხებთან მიმართებაში არის პოზიტიური დინამიკა. პრაქტიკულად, ყველა ის თემა, რასაც ჩვენ განვიხილავთ, მოგვარებული ან თითქმის მოგვარებულია — აღდგა ჩვენი პროდუქციის რუსულ ბაზარზე ექსპორტი. აღმოჩნდა, რომ ქართულ ღვინოზე და სხვა ალკოჰოლურ სასმელებზე მოთხოვნა გაცილებით დიდია, ვიდრე მოველოდით, თითქმის ორჯერ მეტი. ასევე ჩვენი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი ბრუნდება რუსულ ბაზარზე — პირველი პარტია უკვე შევიდა და ალბათ, უახლოეს მომავალში ციტრუსი, ხილი, ბოსტნეულიც დაბრუნდება. ჩვენი სატრანსპორტო კომპანიებიც დაინტერესებული არიან, რომ ამ პროცესში ჩაერთონ და სწორედ მათი მეშვეობით მოხდეს პროდუქციის ტრანსპორტირება, — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

მისივე განმარტებით, გრიგორი კარასინთან მოლაპარაკებების მეოთხე რაუნდის ფარგლებში საუბარი შეეხო რეგულარული რეისების აღდგენასაც.

— საუბარი გვქონდა რეგულარული რეისების აღდგენაზეც, აქ გარკვეული პრობლემა იყო, მათ შორის იმ კომპანიების დავალიანება, რომელიც უკვე აღარ არსებობენ. რუსული მხარე ამ დავალიანების დაფარვას ითხოვს, ჩვენ ამასთან დაკავშირებით ფორმულა უკვე გამოვნახეთ და ვფიქრობთ, ჩვენი შესაბამისი უწყებების ექსპერტები უახლოეს მომავალში შეხვდებიან ერთმანეთს და რეგულარული რეისების საკითხს მოაგვარებენ, — აღნიშნა აბაშიძემ.

ამასთან, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის განმარტებით, მიმდინარეობს სავიზო რეჟიმის შემსუბუქების პროცესიც.

— ჩემი კოლეგისგან მივიღეთ პირობა, რომ ეს არ იქნება ერთჯერადი აქცია, მან განმარტა, რომ სულ უფრო მეტი ვიზა გაიცემა საქართველოს მოქალაქეებზე, განსაკუთრებით კი მარტივდება ნათესაური კავშირით ვიზების გაცემის პროცესი. ზოგადად, სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე საუბარი არ არის, რადგან რუსეთი ამას უკავშირებს დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას, რაზეც ჩვენ ვერ მივდივართ, — განაცხადა აბაშიძემ.

მისივე განმარტებით, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს არა აქვს გაზი და სიმდიდრეები, რომლითაც მდიდარი ქვეყნები ვაჭრობენ, საკუთარი სიმდიდრით — ღვინით და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით უნდა ივაჭროს.

— ჩვენ არ გვაქვს გაზი. ჩვენ არ გვაქვს ის სიმდიდრეები, რითაც მდიდარი ქვეყნები ვაჭრობენ. ჩვენი ნავთობია ღვინო, ჩვენი გაზია — სოფლის მეურნეობის პროდუქტები და ქვეყანამ ამით უნდა ივაჭროს. როცა ვსაუბრობთ ღვინოზე, შეგიძლიათ ეს თარგმნოთ და ღვინის მაგივრად ჩაწეროთ ნავთობი, ან გაზი, იმისთვის, რომ ეს უფრო სოლიდურად ჟღერდეს და არ იყოს ასოცირებული მხოლოდ სადღეგრძელოებსა და ცეკვა-თამაშთან. ესაა ჩვენი სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქცია, — დასძინა აბაშიძემ.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● იმ სახელმწიფოს დედა... სადაც საზღვრის უკანონო გადაკვეთა 400 ლარი ღირს და ღერძულა ხაზია — 100.

● „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტის ფრაზა 9-საათიან კურიერში (მელნიკოვზე სიუჟეტში): „სანდრო გირგვლიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით“...

თქვე ჩვენის მიკერძოებულებო! გარდაიცვალა ბაბუაჩემი, სანდრო გირგვლიანი — მოკლეს!

● ახლა ერთი-ორი სიტყვით „ჯაან პრადვინუტებს“ უნდა გადავწვდე. აი იმათ, რო იძახიან „ჩემი შვილი რო გაიზრდება თვითონ გადაწყვეტს ქალობა უნდა თუ კაცობა, მოძალადე დედა არ ვარო“?! პირადად მე არ მინდა ჩემი შვილები ისეთ გარემოში და ქვეყანაში ცხოვრობდნენ, სადაც პედარასტობა ნორმალურ მოვლენად აღიქმება. ვისაც ე.წ უმცირესობის ლოშნა—პროშნა გსიამოვნებთ, საკუთარ სახლებში ჩაატარეთ გეი აღლუმები, ნუ დაანახებთ ამ სიბინძურეს ჩემ შვილებს — ამით ჩემ, როგორც მშობლის უფლებებს არღვევთ... 2 ბიჭს ვზრდი და არანაირი სურვილი არ მაქვს ოჯახში რძლებად „კაცები“ შემომივიდნენ. თვითონ რა უნდა აირჩიონ? თან ამბობთ, ავადმყოფები არიანო... ჰოდა მე ჯანმრთელი შვილები მინდა, გავაჩინე ბიჭები და იქნებიან კაცები! თუ ამის გამო ვინმეზე ცუდი დედა ვარ — ვიყო!

● კაცის კაცი კარგი კაცი ვერასდროს გახდება.

● აპოლიტიკური კითხვა: როგორ შევაგნებინო ბავშვს, რომ ჭამა ხანდახან აუცილებელია? სოს!

● მათთვის, ვისაც აინტერესებს, რატომ არ მომწონს ახლანდელი პრეზიდენტობის კანდიდატები:

ის, ვისაც საქართველოს პრეზიდენტობა უნდა და ერთხელაც არ ახსენებს ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ბრძოლას საქართველოს თავისუფლებისა და დამოკიდებლობისთვის, პირადად მე არა მხოლოდ პრეზიდენტად, არამედ ადამიანადაც არ მიმაჩნია!

აქ ვინმეს კერპად გადაქცევა არ იგულისხმება - მიზანმიმართულად ცდილობენ დააკნინონ ქართველი ხალხის ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისთვის!

აი, ეს არ მომწონს!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ კონფლიქტის ზონა

მოსავლის აღება სამხედროთა მეთვალყურეობით

ოკუპირებული ტერიტორიის მოსაზღვრედ მდებარე ბაღებში ადგილობრივმა მოსახლეობამ მოსავლის აღება დაიწყო. რუსმა სამხედროებმა ადგილობრივ მოსახლეობას მოსავლის აღების საშუალება მისცეს.

ამასთან, როგორც „ინტერპრესნიუსის„ კორესპონდენტი იუწყება, მოსავლის აღების დასრულების შემდეგ კი, რუსი სამხედროები ე.წ. სასაზღვრო ზოლზე სამონტაჟო სამუშაოებს გააგრძელებენ.

ოკუპირებული ტერიტორიის პერიმეტრზე ამ დრომდე რჩებიან რუსი სამხედროები და მოსავლის აღება მათი მეთვალყურეობით მიმდინარეობს.

რაც შეეხება ქართველ სამართალდამცავებს, შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს წარმომადგენლები ამ ტერიტორიაზე დარჩებიან, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობა მოსავლის აღებას არ დაასრულებს.

ამასთან, რუსმა სამხედროებმა გაანახლეს ე.წ. სასაზღვრო სამუშაოები იმ ტერიტორიაზე, სადაც ადგილობრივმა მოსახლეობამ სიმინდის მოსავლის აღება დაასრულა.

ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის ზაზა კოპაძის განცხადებით, დვანელების კუთვნილი რამდენიმე ათეული ჰექტარი მიწის ფართობი ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე მოექცევა.

◎ ინფორმაცია

მიკრობიოლოგიური ლაბორატორია - განხეთქილების ვაშლი

საძართველოში ჩატარებული შემოწმება საერთო ჯამში დამაკმაყოფილებელია, თუმცა აღმოჩენილი ხარვეზების გამო ყველა საწარმოს არ მიეცემა რუსულ ბაზარზე შემოსვლის უფლება. განაცხადა „როსპოტრებნადზორის„ ხელმძღვანელმა გენადი ონიშენკომ.

მისივე თქმით, საქართველოდან რუსეთის ბაზარზე შესული პროდუქციის კონტროლი ახალ საფეხურზე გადადის.

— საქართველოს ტერიტორიაზე აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების მიკრობიოლოგიური ლაბორატორიის ფუნქციონირება და მისი გაურკვეველი მიზნები სერიოზულად აფერხებს საქართველოსთან, როგორც პარტნიორთან ნდობის დამყარებას, — განაცხადა რუსეთის მთავარმა სანიტარმა.

რუსეთის სანიტარიული სამსახურის ექსპერტები საქართველოში შემოწმების მიზნით წინა კვირას იმყოფებოდნენ. ვიზიტის ფარგლებში მათ 30-მდე ქართული კომპანია შეამოწმეს.

ოქტომბრის ბოლოსთვის ცხრაასამდე სამხედრო პირი ახალმოსახლეობას იზეიმებს

ვარკეთილში, სამხედრო ქალაქში ჯარისკაცებისთვის გადასაცემად ბინები მზად ოქტომბრის ბოლოს იქნება. სამხედრო ქალაქში მშენებლობის სამუშაოებს დღეს გაერთიანებული შტაბის უფროსი ირაკლი ძნელაძე და თავდაცვის მინისტრის მოადგილე ირაკლი გეგეჭკორი დაესწრნენ.

როგორც გეგეჭკორმა ჟურნალისტებს განუცხადა, მშენებლობა მაისის შემდეგ აქტიურად მიმდინარეობს და 31 ოქტომბერს 4 კორპუსი გადასაცემად უკვე მზად იქნება. სულ ამ 4 კორპუსში 891 ბინაა.

მისივე ინფორმაციით, ბინების მშენებლობა შეჩერებული იყო 2012 წლის სექტემბერში.

მშენებლების ინფორმაციით კი, მშენებლობა შეჩერებული იყო დიმიტრი შაშკინის სიტყვიერი განკარგულებით. მაისიდან კი სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

გარდა ამ 4 კორპუსისა, სამხედრო ქალაქში უკვე ექსპლუატაციაში შესულია ერთი კორპუსი.

◎ არჩევნები

რა საარჩევნო ბიულეტენზე დაეტევა...

ცესკოში პრეზიდენტობის 23 კანდიდატია რეგისტრირებული. როგორც ცესკოდან იტყობინებიან, რეგისტრირებული საპრეზიდენტო კანდიდატები არიან მიხეილ სალუაშვილი, ნესტან კირთაძე, შალვა ნათელაშვილი სერგო ჯავახიძე, გიორგი ლილუაშვილი, გიორგი მარგველაშვილი, ნინო ბურჯანაძე, ლევან ჩაჩუა, ავთანდილ მარგიანი, გიორგი თარგამაძე, კობა დავითაშვილი, დავით ბაქრაძე, ზურაბ ხარატიშვილი, თეიმურაზ მჟავია, გიორგი ჩიხლაძე, ნუგზარ ავალიანი, აკაკი ასათიანი, ნინო ჭანიშვილი, თეიმურაზ ბობოხიძე, ქართლოს ღარიბაშვილი, მამუკა ჭოხონელიძე, თამაზ ბიბილური და მამუკა მელიქიშვილი.

საარჩევნო კანონმდებლობით, კანდიდატების რეგისტრაციისთვის ბოლო ვადა 27 სექტემბერია; 23 სექტემბრის მდგომარეობით, ცესკომ სრულად შეამოწმა პრეზიდენტობის კანდიდატობის მსურველების მხარდამჭერთა სიები და მათი რეგისტრაციის პროცესი დაასრულა.

საარჩევნო ადმინისტრაციას პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის მიზნით განცხადებით სულ 54-მა მსურველმა მიმართა, აქედან 42 საინიციატივო ჯგუფი იყო, ხოლო 12 პოლიტიკური გაერთიანება; 23 რეგისტრირებული კანდიდატიდან ათი — პოლიტიკურმა (მათგან მხოლოდ 7-ია კვალიფიციური სუბიექტი) პარტიამ წარადგინა, ხოლო 13 — საინიციატივო ჯგუფებმა.

საპრეზიდენტო კანდიდატად რეგისტრაციაზე სხვადასხვა სამართლებრივი ხარვეზების გამო 31 კანდიდატობის მსურველს ეთქვა უარი.

ცესკოს ინფორმაციით, საპრეზიდენტო კანდიდატს უფლება აქვს, მოხსნას საკუთარი კანდიდატურა არჩევნებამდე არაუგვიანეს 10 დღისა (17 ოქტომბერი); ამ ვადის ამოწურვის შემდეგ, ყველა დარჩენილი კანდიდატის სახელი და გვარი მოხვდება საარჩევნო ბიულეტენში.

არჩევნებამდე ყველა საკადრო გადაადგილებები და იმპიჩმენტები უნდა შეჩერდეს

უწყებათაშორისი კომისია შესაბამისი რეკომენდაციით ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მიმართავს. როგორც გუშინდელი შეხვედრის შემდეგ წულუკიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, შემუშავდა ჩარჩო-ინსტრუქციები, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საჯარო მოხელეებს გადასცემს.

— დღეს პირდაპირ ვთხოვე „ნაციონალურ მოძრაობას“ დახმარება, რომ იმ რაიონებში, სადაც პარტიის წევრთა შორის ხდება ურთიერთობების გარჩევა და ეს საბოლოოდ იმპიჩმენტის ხასიათს იღებს, პროცესი სასწრაფოდ შეაჩერონ. კომისიამ ერთხელ უკვე გასაგებად თქვა, რომ ეს ზიანს აყენებს პრეზიდენტობის ყველა კანდიდატს — განაცხადა წულუკიანმა შეხვედრის დასრულების შემდეგ.

მისივე თქმით, მომავალ სხდომაზე, კომისია ერთთვიანი მუშაობის ანგარიშს დაამტკიცებს, სადაც ასახული იქნება რომელ საჩივარს როგორი რეაგირება მოჰყვა.

ინტერპრესი

წასვლა-არწასვლა – საკითხავი არ ეს არის!..

ნუ დავიქსაქსებით, თანამეამულნო!

ეს მოწოდება, რასაკვირველია, არ არის გამიზნული პრეზიდენტობის კანდიდატებისთვის, არამედ გამიზნულია საქართველოს მოსახლეობისთვის განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

კანდიდატებად დასახელებულთა აბსოლუტური უმრავლესობა მედროვეები, ფსევდოპოლიტიკოსები და სახელის მომხვეჭელები არიან, ამიტომ მათზე არავითარი შეგონება არ გაჭრის. მთავარია, პოპულისტურმა განცხადებებმა ზოგი გაუთვითცნობიერებელი ამომრჩეველი არ გააბრიყვოს და ხმა არ დაიკარგოს, რითაც შეიძლება ისარგებლონ ჩვენთვის კარგად ცნობილმა ქვეყნის დამაქცევრებმა, ანუ ეგრეთ წოდებულმა ნაციონალებმა.

ყველა კარგად აცნობიერებს იმას, თუ რა ძალისხმევის შედეგად გამოვგლიჯეთ ხელისუფლება ხელიდან მარიონეტებს სააკაშვილის მეთაურობით, რომელთაც ეწადათ სისხლიანი რეჟიმის დამყარებით საქართველო კლასიკურ ვასალურ სახელმწიფოდ ექციათ. ბუნებრივია, მათ მთელი შესაძლებლობით მხარს უჭერდნენ ამერიკელი და ევროპელი პატრონები. ამჟამად ისინი სარევანშოდ ამზადებენ სააკისტებს.

განა ჩვენ ვწინააღმდეგებით ამერიკელებთან და ევროპელებთან მეგობრულ ურთიერთობას? მაგრამ ეს ურთიერთობა არ უნდა განხორციელდეს ჩვენი სუვერენიტეტის შესუსტების ხარჯზე. ამერიკელებს სურთ, საქართველოში ფეხი მოიკიდონ, როგორც სამხედრო ბაზების დასაყრდენი ადგილი, საიდანაც ვრცელ რეგიონში გავლენას განავრცობენ. ეს კი გამოიწვევს ამ გეოპოლოტიკური ბალანსის დარღვევას, რასაც მოჰყვება შესაბამისი გართულებები. შედეგად ისეთი მცირერიცხოვანი ერი, როგორიც ქართველია, აღიგვება პირისაგან მიწისა.

რუსეთი ნატოს გაფართოებას სასტიკად ეწინააღმდეგება. ამას კარგად აცნობიერებენ ამერიკელები და არ ჩქარობენ ამ სამხედრო ალიანსში რუსეთის მეზობელი ქვეყნების გაწევრიანებას. თუ რუსეთი როგორმე შეეგუა საქართველოს ნატოში ყოფნას, მაშინ საბოლოოდ უარი უნდა ვთქვათ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებაზე. მეტიც, უნდა ველოდოთ სხვა რეგიონებშიც დესტაბილიზაციას.

ჩვენ გაფაციცებით უნდა ვადევნოთ თვალყური მეზობელი სახელმწიფოების პოლიტიკას რუსეთთან და ამის გათვალისწინებით ავაწყოთ ურთიერთობა მასთან. ამერიკელებს კი სურთ საქართველო ისე იქცეოდეს, რაც მის გავლენის სფეროს გაფართოებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს. ეს კი მიუღებელია არა მარტო რუსეთისათვის, არამედ რეგიონის სხვა დიდი სახელმწიფოებისათვისაც.

გასაკვირი არ არის, ამერიკელები რომ არ არიან დაინტერესებული ადგილობრივი ხალხის გაძლიერებით, ვინაიდან აბორიგენები უკანასკნელი სისხლის წვეთამდე იცავენ ქვეყნის დამოუკიდებლობას, ხოლო ასე ვთქვათ, მოსულებისთვის უმჯობესია, თუ ადგილობრივი ხალხის ჰეგემონია შესუსტებულია. ამრიგად, გავლენის სფეროს გაფართოების მსურველი ყოველი სახელმწიფო ცდილობს აბორიგენების შემცირების ხარჯზე გაზარდოს უცხოტომელთა რიცხოვნობა. ასე იქცეოდნენ ვასალურ ქვეყნებში მონღოლები, ოსმალები, სპარსელები, ბიზანტიელები, რუსები და სხვები.გამონაკლისი არც ამერიკელები არიან.

ზოგი გულუბრყვილო ასე ფიქრობს: ამერიკელებმა სააკაშვილზე ხელი აიღეს. რასაკვირველია,-ეს მართალია, მას პრეზიდენტად მესამეჯერ ხომ არ აირჩევდნენ? სამაგიეროდ გამალებით დაეძებენ ერთგულ მარიონეტებს ნაციონალებში და სხვა პარტიებშიც „ოცნებაშიც“ კი.

მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსთან ნორმალური ურთიერთობა უნდა დავამყაროთ, უპირველესად კი – მეზობლებთან. ამის უფლებას არავინ უნდა გვიზღუდავდეს. ამასაც შევნიშნავდით: რუსეთთან ნეიტრალიტეტი ამ სახელმწიფოსთან ინტერესების გათვალისწინებას ნიშნავს საქართველოში. ვფიქრობ, ამის მიღწევა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, თუკი გვეყოლება ჭკვიანი, შორსმჭვრეტელი და ინტეგრალური პოლიტიკის მცოდნე ხელისუფლება.

– შესამუშავებელია რეალობისთვის შესატყვისი პოლიტიკურ-ეკონომიკური ფორმაცია, ურომლისოდაც ქართველ ერს ძლიერ გაუჭირდება. ასევე ზუსტად განსასაზღვრავია პირველ და მეორე რიგში გადასაწყვეტი პრობლემები. მასთან უნდა გამოცხადდეს საყოველთაო ეროვნული თვითშეზღუდვა. ამ პრობლემების გადაწყვეტის საქმეს ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების დამთავრებისთანავე უნდა შეუდგეთ. ამისთვის საჭიროა ინტელექტუალთა მობილიზება, რომელთა მეშვეობითაც ზემოხსენებული ფორმაცია შემუშავდება. იმედი მაქვს ივანიშვილ-მარგველაშვილის ტანდემი ყოველნაირად შეუწყობს ხელს ამ პრობლემის გადაწყვეტას.მეტიც, მის გადაწყვეტაში მონაწილეობას მიიღებს. მანამდე კი გაერთიანდეთ და, როგორც გასული წლის ოქტომბერში, ერთიანი ძალით ამოვძირკვოთ „ნაცისტური“ რეჟიმი; არ დავუშვათ მისი ჩანაცვლება ფსევდოპოლიტიკოსებით, რომლებიც პრეზიდენტად გახდომას ლამობენ. თუ ძალები დაიქსაქსება, ნაციონალები და მისდაგვარი პარტიები დაეუფლებიან ხელისუფლებას. შედეგად კი ქვეყანა კვლავ გადასარჩენი გაგვიხდება.

წამოწყებული თემა ფართო და სიღრმისეულ განხილვას მოითხოვს, რისთვისაც წინამდებარე სტატია არ არის გამიზნული, ამიტომ პრეზიდენტობის ზოგ კანდიდატს დავახასიათებ, რომლებიც გათითოკაცების ხელშემწყობებად მოგვევლინენ.

* * *

გადავხედოთ პრეზიდენტობის კანდიდატების სიას. საღად მოაზროვნე ადამიანი პრეზიდენტობის კანდიდატების ნააზრევში ადვილად შეამჩნევს სოფისტიკას, სქოლასტიკას, დემაგოგიას, პოპულისტობას და სხვა უარყოფით გამოვლენას. მათ წარმოდგენაც კი არ აქვთ ინტეგრალურ პოლიტიკაზე. ვერ წარმოუდგენიათ რას ნიშნავს რეალობისთვის შესატყვისი სამოქმედო პროგრამა. მათი პროგრამები უხეიროდ გადმოქართულებული საზღვარგარეთული ტექსტებია, სადაც პრიმიტიულად გაერთიანებულია ლიბერალიზმის და ეტატიზმის ელემენტები. ხოლო საჯარო გამოსვლებისას ამ ზერელედ შედგენილ პროგრამებსაც ივიწყებენ და ხალხს ასეთი დაპირებებით „კვებავენ:“ მოვუტებთ ხელფასებს, პენსიებს, მოვსპობთ უმუშევრობას, შევალთ ნატოში. მაგრამ როგორ, რა მეთოდების გამოყენებით, რომელი საზოგადოებრივი ფორმაციითაა შესაძლებელი დასახული ამოცანების შესრულება, ამაზე ყველა დუმს.

რომელიმე საზღვარგარეთელი თეორეტიკოსის ლაკონიურ გამონათქვამებს იმეორებენ, რათა ხალხის წინაშე განსწავლულ ადამიანებად წარმოდგნენ.

ყველას ენაზე აკერია– სამართალს აღვადგენთ, დღის წესრიგში უპირველესად სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხს დავაყენებთ. თითქოს არსებული ხელისუფლება ნაციონალებს თავზე ხელს უსვამს. ეგ კი არა, მათ შორის, რომ იტყვიან, ულმობელი და დაუნდობელი ბრძოლაა გაჩაღებული.

მოცემულობად მივიღოთ, რომ არც ერთ პრეზიდენტობის კანდიდატს რეალობისთვის შესატყვისი პროგრამა არ აქვს და ფონს გასვლას იაფფასიანი ტრიუკებით აპირებს.

* * *

ძალბატონი ნინო ბურჯანაძე ხელისუფლებაში დიდ ხანს იყო და სააკაშვილის მომხრედ ითვლებოდა. თანამდებობის პირს მასთან ხელისუფლებაში ყოფნა შეიძლება დანაშაულად არ ჩაუთვალა, მაგრამ ბურჯანაძე იყო სწორედ სააკაშვილთან ერთად იმ შეთქმულების მონაწილე, რომელსაც სურდა არასწორი გზით ხელისუფლებაში მოსვლა... პარლამენტიდან ითხოვდნენ გამოჩენილ პროფესორებს, სპეციალისტებს და მათ მაგივრად მოჰყავდათ (წამყვან სპეციალისტებად) უმეცარი გოგო-ბიჭები. მაგალითად, მხარდამჭერების მომრავლების მიზნით საბჭოური პერიოდის პოლიტპატიმრების სოცუზრუნველყოფის ზოგი კანონის განმარტება ისე წარმოადგინეს, რომ პოლიტპატიმრის პენსია მრავალ მოქალაქეს კანონდარღვევით დაენიშნა.

როგორც ცნობილი გახდა, სააკაშვილი და მისი მომხრეები საბოტაჟს ეწეოდნენ. ამგვარი დანაშაული ყველა სახელმწიფოში უმაღლესი სასჯელით განისაზღვრება. დაუჯერებელია: ამ ფაქტის შესახებ ბურჯანაძეს არაფერი სმენია. არ იყო მოსაწონი, როდესაც ქალბატონი ნინო ხიდზე იდგა და გამვლელ-გამომვლელს სააკაშვილის ხმის მიცემისკენ მოუწოდებდა. ეს იყო სწორედ რუსეთთან ომის შემდეგ, როდესაც სააკაშვილის გამოისობით საქართველომ უზარმაზარი დარტყმა განიცადა.

თუ ჩვენ მივიჩნევთ, რომ სააკაშვილის რეჟიმი ასაკრძალია, მაშინ ამ რეჟიმის ფუძემდებლების რომელიმე წევრზე გამონაკლისის დაშვება შეუძლებელია.

მართალია, ბურჯანაძე შემდგომში სააკაშვილს გაეცალა, მაგრამ – არადროულად. მისი შემდგომი პოლიტიკური საქმიანობა არ გამოირჩევა დიდი საზრისიანობით. ლიბერალიზმი, რასაც ეყრდნობა ბურჯანაძის პროგრამა, დღევანდელობისათვის გამოუსადეგარია. ქვეყანა, სადაც ეტატიზმი ტრადიციად იქცა, ხოლო ეროვნული თვითშეგნების დონე ძალზე დაბალია, ლიბერალიზმი, რომ იტყვიან, ცეცხლზე ნავთის დასხმას ნიშნავს.

* * *

ბატონი შალვა ნათელაშვილის პროგრამა სხვა არაფერია, თუ არა გაუთავებელი ლანძღვა-გინება, დემაგოგია და წივილ-კივილი. ოღონდ ეს კია, მკლავმაგარი მძიმეწონოსნების ფიზიოლოგიური შიში აქვს. მოკლედ, ინტელექტუალებთან ძველბიჭობს და აშინებს მათ, ხოლო ზემოხსენებულ მკლავღონიერ პოლიტიკოსებთან სათნო ინტელექტად წარმოდგება.

ივანიშვილს ნათელაშვილი თავის გუნდში რომ მიეღო, სულ სხვა დამოკიდებულებაში იქნებოდა მასთან. ბადრი პატარკაციშვილსაც გვარიანად აკრიტიკებდა, მაგრამ მისგან 100 ათასი დოლარის მიღების შემდეგ, ბადრის მეგობარი გახდა. მკითხველო, ეს გარემოება ხომ არ გვაგონებს აკაკის ლექსს – „მურიას.“?

ნათელაშვილმა დიდი შეურაცხყოფა მიაყენა 2012 წლის 29 სექტემბრის მიტინგის მონაწილეებს – ფულისთვის მივიდა იქ ხალხიო. მისი წინასწარმეტყველება – ნაციონალებისა და „ოცნების“ გარიგების შედეგად დიდი უპირატესობით პირველები გაიმარჯვებენ, ხოლო მეორე ადგილზე კოალიცია გავაო, არ გამართლდა.

საღად მოაზროვნე ადამიანების თვალში ნათელაშვილის პოლიტიკოსად მოხსენიება ღიმილის მომგვრელიც კია, მაგრამ რას ვიზამთ, ჩვენთან ვინც მაგრად ყვირის, ლაპარაკის დროს ხელებსა და ფეხებს გამუდმებით აქეთ-იქით იქნევს, სწორედ ის მიაჩნიათ ძლიერ პოლიტიკოსად. სხვაგან კი ნათელაშვილის მაგვარ ინდივიდს პოლიტიკაში კი არა, საზოგადოებაში გამოსვლის საშუალებას არ მისცემენ.

* * *

გიორგი თარგამაძეს არავითარი რეალისტური პროგრამა არ აქვს. მისი გამოსვლები, პოპულისტურ განცხადებებს ემყარება. მეტადრე თავი გამოიჩინა მედროვეობით, პოპულისტობით, და მომენტის დაჭერით. ვფიქრობ, მისი პოლიტიკური კარიერა ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებს შეეწირება. სჯობს, სულიერი განწმენდისათვის ეკლესიას მიაშუროს. რასაკვირველია, თუ სურს საზოგადოებაში ყოფნა და ფიზიკური შრომით ლუკმაპურის მოპოვება. იგი ინტელექტუალური მოღვაწეობისათვის გამოუსადეგარია.

* * *

კობა დავითაშვილი პარტიიდან პარტიაში სირბილით, პატრონების გამოცვლით კი არ გახდა, არამედ გასუქდა. ამ საიდუმლოს გამოცნობა არ გაგვიჭირდება, თუ მის ბიოგრაფიას გავეცნობით.ფულის შოვნის მეტად ძლიერი უნარი გამოიჩინა. პოპულისტობა ხომ მისი ძირითადი ხერხია.

გვიმტკიცებს: სააკაშვილს იმიტომ გავეცალე, რომ საარჩევნო დაპირებები არ შეასრულაო. ოდნავ ჭკუათმყოფელი ადამიანი სააკაშვილთან ერთად საქმიანობის თუნდაც ერთ კვირაში, ადვილად შეამჩნევს მის თაღლითურ ბუნებას. პოლიტიკოსი შორს მჭვრეტელი უნდა იყოს, ვინაიდან მომავლის სამოქმედო გეგმა სწორად შეიმუშაოს. ჩანს, ეს თვისება დავითაშვილს არ აქვს.თუმცა, ალღოიანობის უნარს მას ვერ წავართმევთ, როდესაც სასუსნავი შემოაკლდება, გაფაციცებით დაეძებს გზებს მორიგი სასუსნავის მოსაპოვებლად. პოულობს კიდეც. ივანიშვილთან მსუყე სასუსნავი იპოვა. ახლა კარგად აცნობიერებს, რომ სულ ახლო მომავალში „ოცნების“ კარი მისთვის მარად ჩარაზული აღმოჩნდება, ამიტომ მოვლენებს დაასწრო და კოალიციას განუდგა. ეს თავისებური ეშმაკობაა.იგი ნაცად მოლიპულ პოპულისტურ გზას დაადგა. დავითაშვილისთვის პრეზიდენტობის კანდიდატობა პოლიტიკაში გედის სიმღერა იქნება. ამჟამად ზემოხსენებულმა სუსნაობის უნარმაც უღალატა აბა რას ნიშნავს პრეზიდენტობის კანდიდატობა?! – ნებაყოფლობით პოლიტიკური სახრჩობელის ყულფში თავის გაყოფას.თუმცა დავითაშვილისთვის პოლიტიკური სარბიელის დატოვება სასარგებლოც იქნება.

* * *

დავით ბაძრაძის „პოლიტიკური“ საქმიანობა სამზეოზე ვაჟა ჟღენტმა უკვე გამოფინა. წაიკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2 აგვისტოს ნომერი(№145). ის კითხვები, რაც ბაქრაძეს ჟღენტმა დაუსვა, ეხება დანარჩენ კანდიდატებსაც, ამიტომ ვურჩევ მათ გულდასმით წაიკითხონ გაზეთის ის ნომერი.

* * *

სტატიის მოცულობა საშუალებას არ მაძლევს ყველა კანდიდატზე ორიოდ სიტყვა მაინც ვთქვა. სიმართლე რომ ითქვას, მათ პოლიტიკურ საქმიანობას არ ვიცნობ და ასე ზერელედ ადამიანებზე საუბარი უკადრისი საქციელია.

ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაც მსურს აღვნიშნო, პოლიტიკაში ივანიშვილის მოსვლამ თითქმის ყველა პარტიას ფუნქცია დაუკარგა.ეს აუცილებელიც იყო. საქართველოში დღეს არსებული ყველა პარტიის თვითლიკვიდაცია უნდა მოხდეს და მათ მაგივრად ინტელექტუალებისა და პატიოსანი ადამიანებისგან დაკომპლექტდნენ პარტიები. ასეთი მდგომარეობა შეიქმნა რუსეთში გასული საუკუნის დასაწყისში, როდესაც რუსეთის ინტელიგენციამ და ქვეყნის ბედით დაინტერესებულმა ადამიანებმა პარტიების თვითლიკვიდაციის იდეა წამოაყენეს. მათ ლიკვიდატორები უწოდეს. სწორედ ახლაა საჭირო საქართველოში ამგვარი ღონისძიების გატარება, რათა ქვეყანა გაიწმინდოს ფსევდოპოლიტიკოსებისაგან. თორემ რა გამოვიდა – პარტიები დაფინანსებას მოითხოვენ. რისთვის? მათ ქვეყნისთვის ცუდის მეტი არაფერი გაუკეთებიათ. ინტეგრალური პოლიტიკის უმეცარნი არიან და ქვეყნის მართვა რომ მივანდოთ, როგორც მათი „იდეური“ მამები მოიქცნენ, უცილობლად მათ მიბაძავენ. ბევრი მათგანი ურაპატრიოტული ლიდერების იდეების გამზიარებელია, ბევრიც – ბოლშევიკური ლიდერების.

* * *

რაც შეეხება გიორგი მარგველაშვილს. იგი ქვეყანას მმართველად მარტო არ მოევლინება, არამედ – ივანიშვილთან ერთად. ეს ტანდემი, ვფიქრობ, მრავალი პრობლემის გადაწყვეტას შეძლებს. აგრეთვე უპირველეს ყურადღებას მიაქცევს ზემოხსენებული, რეალობისათვის შესატყვისი პოლიტიკურ-ეკონომიკური ფორმაციის შემუშავებას. და, თუ ასე არ მოხდება, საზოგადოებამ უყოყმანოდ უნდა იზრუნოს ხელისუფლების გასაახლებლად. ამდენად, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან არავითარი წასვლა! ივანიშვილ-მარგველაშვილის ტანდემის გარეშე, საქართველოში კვლავ ქაოსი დაისადგურებს!

გარსევან ცენტერაძე,
ისტორიკოსი

მეთიუ ბრაიზა:

„რა დიდი შეცდომები დაუშვა სააკაშვილმა...“

„საძართველო კუთხეში მივიმწყვდიეთ და ვუთხარით, – აი, ამას არ გააკეთებო... ის კი არ გვითქვამს, თუ რა უნდა გაეკეთებინა იმისთვის, რომ ჩვენგან უფრო მეტი დახმარება მიეღო“, – ამბობს სამხრეთ კავკასიაში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე მეთიუ ბრაიზა „ამერიკის ხმასთან“ექსკლუზიურ ინტერვიუში.

– როგორ იხსენებთ 2008 წლის ომის გარემოებებს, რა გზავნილები იყო საქართველოს მთავრობასთან და რას ეუბნებოდით რუსებს?

– თანამდებობიდან გამომდინარე, წლების განმავლობაში ვიყავი იმის მოწმე, რუსეთი როგორ ზრდიდა სამხედრო ძალებს სამხრეთ ოსეთში, არღვევდა საერთაშორისო შეთანხმებებს, 90-იანი წლების ბოლოს გამოეთიშა სტამბოლის პროტოკოლს და დაიწყო მძიმე ტექნიკის შეყვანა სამხრეთ ოსეთში როკის გვირაბით. რუსეთი განსაკუთრებით 2008 წელს, დასავლეთის მიერ კოსოვოს აღიარების შემდეგ გააქტიურდა. ქართველებს დაავიწყდათ, რომ ომი პოლიტიკის გაგრძელებაა. იფიქრეს, რომ საომარ ოპერაციებში მოიგებდნენ. ამის შანსი არ ჰქონდათ. თუმცა, რომც მოეგოთ, რუსეთს პოლიტიკურ ომს მაინც ვერ მოუგებდნენ. ყველაზე დიდი შეცდომა კი ის იყო, რომ სრულიად არასწორად იყო გაგებული ჩვენი განზრახვები.

პრეზიდენტმა პუტინმა გადაწყვიტა, კოსოვო ძალის გამოყენების პრეცედენტად გამოეყენებინა. არ ვიცი, რისი მიღწევა სურდათ, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარებისა, თუ, როგორც ლავროვმა უთხრა კონდოლიზა რაისს, სააკაშვილის ხელისუფლების დამხობა. საოცარია, რომ ახლა პუტინი სირიის გამო ამბობს, – ძალის გამოყენება სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ დაუშვებელიაო. მაშინ როცა თვითონ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის ბრძანება გასცა და მისმა საგარეო საქმეთა მინისტრმა საჯაროდ თქვა, – სუვერენული ქვეყნის მთავრობის შეცვლა გვსურსო.

მახსოვს, 2008 წლის ივნისში მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა, არაჩვეულებრივმ ა ადამიანმა, ზურაბ ჟვანიამ აღელვებულმა დამირეკა - რუსებს მძიმე ტექნიკა ჯავაში შეჰყავთო. მახსოვს რუსეთის უწყვეტი ზეწოლა - დესანტის გადასროლა აფხაზეთში, რკინიგზის გაყვანა, თუ უდიდესი დიპლომატიური წნეხი. ასევე მახსოვს, აშშ დაჟინებით, მკაცრად, ზოგჯერ უხეშადაც რომ ეუბნებოდა საქართველოს, გულშიც კი არ გაივლოთ რუსეთთან სამხედრო დაპირისპირება, წააგებთ, საქართველოს მოგების არანაირი შანსი არ აქვს. მთლიანად განადგურდება ჩვენი აღჭურვილი და გაწვრთნილი დანაყოფები, გაქრება ნატოში გაწევრების უმცირესი შანსიც კი და ჩვენ ვერ დაგეხმარებითო... რუსებსაც ვეუბნებოდით, რაც უფრო ინტენსიური იქნება თქვენი მხრიდან ზეწოლა თბილისზე, მით უფრო გაძნელდება, რომ საქართველო თავის შეკავებაზე დავიყოლიოთო.

2008 წლის ივლისში ჩემმა რუსმა კოლეგამ მითხრა, რომ მომდევნო თვენახევრის განმავლობაში მთავრობაში არავის ეცალა საქართველოსთან დაკავშირებული სამშვიდობო გეგმის განსახილველად. მივხვდი – ომის დაწყება გადაწყვეტილი ჰქონდათ. საქართველოს არაფრის გაკეთება არ შეეძლო ამის თავიდან ასაცილებლად.

– რუსეთის სტრატეგიული მიზანი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია, სააკაშვილის მთავრობის დამხობა იყო თუ სხვა რამ?

– ალბათ, უფრო ტაქტიკური მიზნები იყო, ვიდრე სტრატეგიული. სააკაშვილი ვერ დაამხეს, ოკუპაციით კი უამრავი პრობლემა შეიქმნეს. აფხაზებს არ მოსწონთ, რომ რუსეთის ნაწილი გახდნენ. სამხრეთ ოსეთშიც იგივე ხდება. ჩემი აზრით, რუსეთმა სტრატეგიულ მიზანს მიაღწია – ეს საქართველოსთვის ნატოში გაწევრების ხელის შეშლა იყო. 2008 წლის ზაფხულში მედიაციის ერთ-ერთ შეხვედრაზე ნატოში, გერმანიის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ელჩებს ვუთხარი, რომ რუსები რაღაცას აპირებდნენ და ჩვენ შეგვეძლო მათი შეჩერება. ვუთხარი, რომ მიგვეცა საქართველოსთვის რაიმე კონკრეტული მიმართულება, გარდა მუდმივი გამეორებისა, რომ ძალა არ გამოეყენებინა, აგვემოქმედებინა დიპლომატიური პროცესები, რომლებიც აფხაზებსაც ჩართავდა პროცესში. ჩვენი ევროპელი პარტნიორები მზად არ იყვნენ, საქართველოსთვის ის გარანტიები მიეცათ, რომლებსაც თბილისი ელოდა. მაისამდე არც ვაშინგტონი იყო მზად ამ გარანტიების მისაცემად.

– რატომ?

– მინდა ვთქვა, რომ როგორც პრეზიდენტ კლინტონის, ასევე პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციას ძალიან უყვარდა ეს პატარა ქვეყანა, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდილობდა. ჩვენ ძალიან კარგად ვიცოდით, რომ მოსკოვს არც საქართველოს დამოუკიდებლობა უნდოდა და არც მისი ნატოში გაწევრება. ჩვენი შეხედულება ასეთი იყო: თუ ერთი ქვეყანა ნატოში შესასვლელად ყველაფერს აკეთებს, რუსეთს არ უნდა მიეცეს საშუალება ამ სურვილისთვის ვეტოს დადებისა. გარდა ამისა, ამერიკას „ვარდების რევოლუცია“ არ წაუქეზებია. ამერიკაში ბევრი დიდჩინოსნის სურვილის საწინააღმდეგოდ, მიხეილ სააკაშვილმა ხალხი ქუჩაში გაიყვანა, ხელისუფლებაში მოვიდა და მთავრობაში მოიყვანა დასავლეთში განათლებამიღებული ახალგაზრდა კადრი. სააკაშვილს ვაშინგტონში უყურებდნენ როგორც შიგადაშიგ იმპულსურ ლიდერს. მასზე ინფორმაცია მოსკოვიდანაც მოდიოდა.

ამ ყველაფერზე დაყრდნობით ამერიკაში ფიქრობდნენ, რომ გამოუცდელ და ახალგაზრდა ქართველებს ერთგვარად შებოჭვა სჭირდებოდათ. ვაშინგტონი და განსაკუთრებით ბერლინი, ალბათ, მათი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ასკვნიდნენ, რომ რუსები უფრო გამოცდილები და პასუხისმგებლობის მქონენი იყვნენ. საქართველო კუთხეში მივიმწყვდიეთ და ვუთხარით, – აი, ამას არ გააკეთებო... ის კი არ გვითქვამს, თუ რა უნდა გაეკეთებინა იმისთვის, რომ ჩვენგან უფრო მეტი დახმარება მიეღო.

– რა იყო საქართველოს მთავრობის ყველაზე დიდი სისუსტე ომამდე და ომის განმავლობაში?

– ომის დროს ის იყო, რომ 7 აგვისტოს, როცა საქართველოს მთავრობა დარწმუნდა, რუსეთს ჯარი შემოჰყავდა, ქართულმა შენაერთებმა უკან არ დაიხიეს. არადა, ვურჩევდით, რომ უკან დაეხიათ და მიეღოთ თავდაცვითი პოზიციები. ამ შემთხვევაში მთელ მსოფლიოს ეცოდინებოდა, რომ რუსეთი საქართველოს დაესხა თავს. დიდი შეცდომა კი ის იყო, რომ მას შემდეგ, რაც რუსებმა და ოსებმა ქართული სოფლების დაბომბვა დაიწყეს, საქართველომ მათ ცეცხლით უპასუხა. ასე რომ არ ექნა, ქვეყანა ომის შემდგომ პოლიტიკურ ომს მოიგებდა. ქართველებს დაავიწყდათ, რომ ომი პოლიტიკის გაგრძელებაა. მათ ასევე იფიქრეს, რომ საომარ ოპერაციებში მოიგებდნენ. ამის შანსი არ ჰქონდათ და რომც მოეგოთ, რუსეთს პოლიტიკურ ომს მაინც ვერ მოუგებდნენ.

ყველაზე დიდი შეცდომა კი ის იყო, რომ არასწორად გაიგეს ჩვენი განზრახვები. ჩვენ სრულიად გასაგებად ვეუბნებოდით, – თქვენ არ ხართ ნატოში, თუ სროლაზე მიდგა საქმე, ვერ დაგეხმარებით. ომის დროს ზოგიერთ ქართველ დიდჩინოსანს არ სჯეროდა, რომ ჩვენ სამხედრო დახმარებას არ აღმოვუჩენდით. მათ დაავიწყდათ, რომ საბოლოო ჯამში გადაწყვეტილებებს ქვეყნის არჩეული ლიდერები იღებენ და ამ შემთხვევაში მათ არასწორი გადაწყვეტილება მიიღეს.

– რამდენად შორსაა საქართველო ნატოს წევრობისგან ამ ომის შემდეგ?

– შორსაა იმ პოლიტიკური მოსაზრებების გამო, რომლებიც არასწორია, მაგრამ ევროპაში დამკვიდრდა, როგორც სიმართლე - ომი საქართველომ დაიწყო. ეს ასე არ იყო. ყველას ავიწყდება, რუსეთის მხრიდან სამხედრო მობილიზება, კავკასიაში უმსხვილესი სამხედრო წვრთნები. ეს რა, დამთხვევა იყო? და ამ დროს ქართველებმა გადაწყვიტეს, თავს დასხმოდნენ რუსეთს მაშინ, როცა საქართველოს საუკეთესო ჯარისკაცები ერაყში იყვნენ? ეს ხომ აბსურდია. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ არასწორმა შეხედულებამ საქართველო დააზარალა...

ადამიანებს, რომლებიც მანამდე ამბობდნენ, რომ ტერიტორიული კონფლიქტების მქონე ქვეყნები ნატოს წევრები არ უნდა გახდნენ, ახლა უფრო მყარი არგუმენტები მიეცათ, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი კონფლიქტი უამრავია ევროპაში - უნგრეთში, რუმინეთში, სლოვაკეთში, ესპანეთში ბასკებთან და კატალონიასთან დაკავშირებით და ა.შ.

მაგრამ ნატოში გაწევრება მიუწვდომელი სურვილი არ არის. რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველო გაცილებით წინ დგას არა მხოლოდ მიზნებით, არამედ რეფორმებითაც, რომელიც აუცილებელია ალიანსის წევრობისთვის.

– უნდა გამოიძიოს თუ არა საქართველოს ახლანდელმა მთავრობამ ომის გარემოებები?

– ჩემი აზრით, ეს სრულიად ლეგიტიმური მოსაზრებაა. უნდა გამოიძიონ ყველა მსხვილი სამხედრო ოპერაცია, ომი. აკადემიურ წრეებს უნდა მიეცეთ საშუალება, გამოიკვლიონ გარემოებები. დიდი იმედი მაქვს, რომ ასეთი გამოძიება არ იქნება პოლიტიზებული და იქნება სამართლიანი. ადამიანებს საშუალება უნდა მიეცეთ, გაიგონ საღი მოსაზრებები ისეთი ადამიანებისგან, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართული მოვლენებში.

– რა უნდა იყოს ამ გამოძიების მიზანი – გარემოებების დადგენა, დამნაშავეების დასჯა თუ რაიმე სხვა?

– არ ვიცი, რა დანაშაული უნდა ჩაედინათ პოლიტიკის შემმუშავებლებს, რომლებიც ყველი ხერხით ცდილობდნენ ქვეყნის გადარჩენას, მაშინ, როცა მეზობელი ქვეყნის 100-ჯერ დიდი ჯარი ქვეყანას თავს დაესხა. თუ დანაშაული ჩადენილი იყო, ცხადია, დამნაშავეები უნდა დაისაჯონ, მაგრამ ეს უნდა იყოს სისხლის სამართლის გამოძიება. პარლამენტმა და მთავრობამ გამოძიება იმისთვის უნდა ჩაატარონ, რომ შესწავლილ იქნას სამხედრო-პოლიტიკური გადაწყვეტილებები ისტორიის დასადგენად, შეცდომების გამოსავლენად, გაკვეთილისთვის, ახალი მექანიზმების შესამუშავებლად, რათა ღმერთმა დაგვიფაროს და, ისევ რომ აღმოვჩნდეთ მსგავს სიტუაციაში, ვიცოდეთ, რა უნდა გავაკეთოთ უკეთ.

– რას ფიქრობთ საქართველოს ახალი მთავრობის პოლიტიკაზე რუსეთთან მიმართებაში?

– ეს საქართველოს მთავრობის გადასაწყვეტია. მაგრამ, ის ცხადია, რომ ხალხებს ერთმანეთი მოსწონთ, რუსეთი საქართველოს ბუნებრივი პარტნიორია ვაჭრობაში, ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეიძლება რეგიონში, რუსეთ-საქართველოს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა რომ ჰქონდეთ. თუ საქართველოს მთავრობამ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება შეძლო და დასავლეთთან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნა, მაშინ ნატოს წევრ ქვეყანასავით მოიქცევა. გერმანიას რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობა აქვს. რატომ არ შეუძლია საქართველოსაც იგივე ჰქონდეს?

აქ მთავარი შეკითხვა ის არის, თუ რამდენად ადგას ახალი მთავრობა ევროატლანტიკურ ვექტორს. ჩანს, სწორ გზას ადგას. მთავრობაში არიან ისეთი ადამიანები, როგორიცაა, მაგალითად, ირაკლი ალასანია, რომელმაც მთელი კარიერა დაუთმო საქართველოს ნატოში გაწევრების ძალისხმევას. ასე რომ, არა მგონია, (ნატო და რუსეთი) ურთიერთგამომრიცხავი თემები იყოს საქართველოსთვის.

– თქვენი აზრით, არჩევნების შემდეგ როგორ ვითარდება დემოკრატია საქართველოში?

– დამკვირვებლის თვალით, საქართველოს მთავრობამ საკუთარი პოზიციები დააზიანა მმართველობის დასაწყისში, როცა შექმნა პოლიტიკური დაპატიმრებების შთაბეჭდილება. საქართველოში მეგობრებთან საუბრისას ხშირად მესმის, რომ ეს არ არის პოლიტიკურად მოტივირებული დაკავებები და დანაშაული ნამდვილად იყო ჩადენილი. ძალიან კარგი. მაშინ ჩაატარეთ გამოძიება. ვაშინგტონში ჰგონიათ, რომ საქართველოში დემოკრატია არ ვითარდება სწორედ ამ პოლიტიკურად მოტივირებული დაპატიმრებების გამო. მე არა მგონია, რომ ეს პოლიტიკური დაპატიმრებებია. უფრო ის მაშფოთებდა, რომ თავიდან საქართველომ გეოპოლიტიკურ მიზნებში შერეული გზავნილები გაავრცელა, მაგალითად, აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალს და ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზას თითქოს დასავლეთ საქართველო-აფხაზეთი-სომხეთის რკინიგზა ამჯობინა. ეს თავიდან ფოკუსის შეცვლას ჰგავდა, მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ გაირკვა. ასევე, იყო ძალადობისა და დაშინების ფაქტებიც, რასაც ვაშინგტონში ეჭვით უყურებენ. მაგრამ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პოლიტიკა საქართველოში ყოველთვის უხეში თამაში იყო. არა მგონია, რომ სათანადოდ ვარ ინფორმირებული შიდა პოლიტიკაზე იმისთვის, რომ საღი ანალიზი გავაკეთო. ერთი რამ შემიძლია ვთქვა: რაც ნაკლებია პოლიტიკური ანგარიშსწორების ეჭვი, რაც უფრო მკაფიოდაა ჩამოყალიბებული საქართველოს საგარეო კურსი, მით უფრო კომფორტულად ვგრძნობთ თავს დასავლეთში.

„ამერიკის ხმა“

◎ როგორი ჟურნალისტიკა მოსწონს მეწარმეს

მთავარია ობიექტურობა და სწორი ხედვა

საყოველთაოდ მიჩნეულია, რომ პრესა მეოთხე ხელისუფლებაა. ვეთანხმები, პრესა ნამდვილად დიდი ძალაა და მისი სწორად წარმართვა უმნიშვნელოვანესია. როგორც ბავშვს არ შეიძლება მისცა სათამაშოდ ასანთი, ასევე ჟურნალისტს – კალამი, თუ ის მიკერძოებულად უდგება საკითხების განხილვას. ასეთ ჟურნალისტს ძალიან სახიფათოა მისცე ინტერვიუ, ამიტომ დავეთანხმები საქართველოს-პრემიერ მინისტრს იმ შეფასებაში, რომელსაც ასეთი ჟურნალისტების მიმართ გამოხატავს. არ შეიძლება რაღაც მანიპულაციებითა და მიკერძოებული მიდგომებით საზოგადოებას თავზე მოახვიო მცდარი აზრები და არასწორი ბრძოლის იარაღად გამოიყენო პრესა, რადიო და ტელევიზია.

ჩემთვის ბევრჯერ უთქვამთ, ჟურნალისტებს ნუ ელაპარაკები, აზრი არა აქვს, სათქმელს მაინც თავისებურად მონათლავენ და სულაც არ აინტერესებთ შენი პრობლემაო, რაშიც, სამწუხაროდ არაერთხელ დავრწმუნდი. განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ხელისუფლებამ ერთხანს მეწარმეების პროვოკაციული დაპატიმრება განახორციელა და შემოსავლების სამსახურმა პიარის თანხლებით საზოგადოებას დაანახვა, აი ასე ვებრძვით მექრთამეობასო. ეს იყო მორიგი სპექტაკლი, რომლის რეჟისორიც მოგეხსენებათ ვინც გახლდათ. დიახ, საკაშვილს დასჭირდა პარლამენტში თეატრალიზებული გამოსვლისათვის ეს დადგმა, რასაც უმალ „გამოეხმაურა“ „რუსთავი-2“, ხოლო მისმა წამყვანმა კიკალიშვილმა ამას მთელი გადაცემა მიუძღვნა. ჟურნალისტს, ეტყობა, ეცოტავა ის თანხა, რაც ბინძურად შეთითხნილ საქმეში იყო დასახელებული და თავისით კიდევ წაუმატა, და ისიც, თითქოს მეწარმე რაღაც კომბინაციებში იყო გარეული, ლარებიც ეცოტავა და დოლარები ახსენა, რაც მტკნარი სისულელე გახლდათ. გადაცემას თან სასამართლოში, გალიაში გადაღებული მეწარმეები დაურთეს, თითქოს ნიურნბერგის პროცესი ყოფილიყო.

ამას წინათ „იმედის“ ჟურნალისტი მესტუმრა პურის ქარხანაში, ჯერ კადრები გადაიღო, შემდეგ კი დარგის პრობლემებზე მესაუბრა. ვიფიქრე, ღმერთო დიდებულო, ძლივს გამოჩნდა ადამიანი, ვინც დარგსა და მის პრობლემებს გულშემატკივრობს-მეთქი. ნურას უკაცრავად, თურმე სხვა მიზანი ჰქონია. ბოლო დროს ფქვილის დამამზადებლების ორი დაჯგუფება ებრძვის აზერბაიჯანულ ფირმა „კარმენს“ იმის გამო, რომ, „კარმენმა“ ფქვილის ფასების გაიაფება დაიწყო. მათ ეს არ მოეწონათ და შეეცადნენ ჟურნალისტების მეშვეობით ფირმა „კარმენის“ დისკრედიტაციას, შევატყვე ჩემი პასუხიც ჟურნალისტს მაინცდამაინც არ მოეწონა, რადგანაც განვაცხადე ყველა ფქვილი ერთნაირი დონისაა-მეთქი. რაც საბოლოოდ გავიდა კიდევაც ეთერში.

ამას წინათ გაზეთ „რეზონანსის“ ახალგაზრდა ჟურნალისტმა მაკა ხარაზიშვილმა დამირეკა. მანქანაში ვიჯექი, ქალაქიდან ვიყავი გასული, რომ არ მეპასუხა, არ გამოვიდოდა, ვიცი ჟურნალისტების წყენა რასაც ნიშნავს. ვესაუბრე, მაგრამ ერთ მომენტში მაინც გავღიზიანდი, რადგანაც ჟურნალისტი ფასწარმოქმნის მტკივნეულ თემას აშკარად არასწორად ხსნიდა, პურის ფასი ფქვილის პირდაპირპროპორციული ეგონა. ამის თაობაზე შევეკამათე და ის რეალობა დავუხატე, რაც ფასწარმოქმნას განაპირობებდა. მან ჩემი განმარტება ქილიკის საგნად აქცია და მიკერძოებულად დახატა სურათი ჩემთვის საპატივცემულო გაზეთის ფურცლებზე. მას შემდეგ გადავწყვიტე ჟურნალისტის კითხვებზე აღარ ვუპასუხო, ხომ არ შეიძლება ასე იმანიპულირო ადამიანებით.

ძალიან ხშირად ჟურნალისტები მიდიან მეწარმეებთან ამა თუ იმ რედაქციის დავალებით. ეტყობა, პირდაპირ ვერ ბედავენ ამ დავალებიდან გამომდინარე შეკითხვების დასმას და საუბარში ცდილობენ მათთვის საინტერესო თემა შემოაპარონ, რომელსაც შემდგომ ამოჭრიან და ისე გააშუქებენ, როგორც თავად სურთ. ამის გამო ხშირად გულში გამიპროტესტებია და მითქვამს, ჟურნალისტს ახლოსაც აღარ გავიკარებ-მეთქი, რადგანაც იყო შემთხვევები, როცა სულ სხვა რამეზე გვქონია საუბარი, მათ კი საპირისპირო გამოაქვეყნეს.

სულ ახლახან, მაგალითად, ტელეკომპანია „კავკასიის“ ჟურნალისტს ნათია ჯაბაურს პირდაპირ განვუცხადე – თუ დავალება გაქვთ, უმჯობესია მითხრათ, რა თემა გაინტერესებთ, მერე უხერხულობაში რომ არ ჩავვარდეთ-მეთქი. მან ჩემს დარგში არსებული პრობლემები დაასახელა, თუმცა სიუჟეტში, თითქოს დიდი გმირობა იყო, მთელი ქვეყნის გასაგონად ჩემი ნასამართლობა პირველ რიგში გამიხსენა, რაც ხუთი წლის მოხსნილი მაქვს და ამ საშინელი პროვოკაციის გახსენება, ბუნებრივია, სულაც აღარ მინდა (მე მგონი, ამის უფლება მაქვს). ტელევიზიას ბევრი ჩემი ახლობელი ოჯახის წევრი უყურებს და სულაც არ მქონდა სურვილი, თემა, რომელიც ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის მტკივნეულია, მთელ საზოგადოებას გავუახლო. მე მგონი, ჟურნალისტმა ეთიკურ პრინციპებს უღალატა. აქვე მინდა ისეთი ჟურნალისტების მიმართაც გამოვთქვა ჩემი დამოკიდებულება, რომლებსაც ხშირად შევხვედრივარ და ამათი პუბლიკაციებით კმაყოფილი დავრჩენილვარ. რატომ იცით? იმიტომ, რომ მათთვის უმთავრესია ქვეყნის პრობლემები, ობიექტურობა და მოვლენების სწორი ხედვა, რაც ასერიგად მნიშვნელოვანია საზოგადოების წინაშე მდგომი ურთულესი პრობლემების გადასაჭრელად. ასეთი ჟურნალისტიკა ძალიან მომწონს და ვაფასებ.

მალხაზ დოლიძე,
მეწარმე,
პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე.

◎ ლაკაევის ექსტრადირების შესახებ

დიპლომატია და ნებისყოფის მორიგი გამოცდა საქართველოსთვის

საძარცველოს შსს-ს კონტრტერორისტული სამსახურის თანამშრომლებმა მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ბათუმში გააჩერეს ფირუზ წულუკიძის მართვის ქვეშ მყოფი მანქანა, რომელშიც მის გარდა ისხდნენ თემურ ბახუნდარიძე და იუსუფ ლაკაევი. სწორედ ამ უკანასკნელზე არსებობდა ინფორმაცია, რომ იგი კანონდარღვევით იყო საქართველოში შემოსული. საბუთების შემოწმების პროცესში დაკავებულმა პოლიციელებს ცეცხლი გაუხსნა. დაიჭრა ერთ-ერთი მათგანი. საპასუხოდ გახსნილი ცეცხლის დროს დაიჭრა ლაკაევიც. მანქანაში მყოფი სამივე პირი დაკავებულია.

ფაქტის გახმაურებისთანავე რუსულმა საინფორმაციო საგენტო „რია ნოვოსტიმ“ რფ-ს საგამოძიებო სამსახურის ოფიციალური წარმომადგენლის ვლადიმერ მარკინის ინფორმაცია გავრცელა, სადაც იგი ამბობდა, რომ ლაკაევი ეჭვმიტანილია სოხუმში რუსი დეპუტატის მკვლელობის საქმეში, რის გამოც მისი გადაცემის თაობაზე რუსეთი აპირებს მიმართოს საქართველოს ხელისუფლებას.

მომხდარიდან ცოტა ხანში ასევე რუსული გაზეთი „იზვესტია“ ავრცელებს ინფორმაციას, თითქოსდა საქართველოს ხელისუფლება განიხილავს საკითხს იუსუფ ლაკაევის რუსეთში ექსტრადირების შესახებ.

საქართველოს მთავარ პროკურატურაში არ ადასტურებენ ამ უკანასკნელ ინფორმაციას. მისი პრეს-სპიკერი ხათუნა პაიჭაძე აცხადებს, რომ ლაკაევის გადაცემის თაობაზე პროკურატურაში დღემდე არანაირი დოკუმენტი არ შესულა.

იუსუფ ლაკაევი რუსეთში სასჯელს იხდიდა ჩეჩნეთში არაფორმალური შეიარაღებული ბანდფორმირებებისათვის დახმარების გაწევის გამო. პატიმრობიდან იგი 2011 წელს გაათავისუფლეს. ამის შემდეგ „როსიისკაია გაზეტამ“ მიმდინარე წლის მარტში, ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით, გამოაქვეყნა 81-კაციანი სია, რომლებიც საფრთხის შემცველნი არიან სოჭის ოლიმპიადისთვის. მასში ლაკაევს 48-ე პოზიცია უკავია. ამჟამად მოსკოვი მას ბრალს სდებს სოხუმში რუსი დიპლომატის მკვლელობაში.

სიარული დანის პირზე

ლაკაევის რუსეთის მხრიდან შესაძლო ექსტრადირების თაობაზე სხვადასხვა მოსაზრება აქვთ პოლიტოლოგებს, იურისტებს, ექსპერტებსა და უბრალოდ საზოგადოების წარმომადგენლებს.

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე თვლის, რომ რუსეთისთვის ლაკაევის გადაცემაზე უარმა შეიძლება ჩრდილოეთი გააღიზიანოს. სამართლიანობით თუ მივუდგებით ამ საკითხს, ის რუსეთს არ უნდა გადაეცეს და საქართველოს კანონმდებობით უნდა გასამართლდეს. მაგრამ თუ საქართველო პრინციპულად იტყვის უარს დაკავებულის ექსტრადაციაზე რუსეთის უკმაყოფილებას უმალ მოჰყვება ბრალდებები, რომ აფხაზეთში რუსი დიპლომატის მკვლელობის კვალი საქართველოსკენ მიდის, დავალება ქართული მხარისგან მოდიოდა და ა. შ. მაგრამ, განაგრძობს საყვარელიძე, თუ ჩვენმა მხარემ ლაკაევის რუსეთისათვის გადაცემა დაადასტურა, ეს უმალ გამოიწვევს სერიოზულ უკმაყოფილებას ჩრდიოლოეთ კავკასიაში – ასკვნის პოლიტოლოგი.

უფრო პრინციპული პოზიცია აქვს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სრულ პროფესორს, საქართველოს ყოფილ გენერალურ პროკურორს გია მეფარიშვილს.

მისი აზრით, ეს საკითხი საერთაშორისო სამართლითა და სპეციალური ხელშეკრულებით წყდება. თუ დანაშაული რუსეთის ტერიტორიაზეა ჩადენილი ყველა შემთხვევაში უნდა გადაეცეს. მაგრამ ამ შემთხვევაში, აკონკრეტებს საერთაშორისო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, დანაშაული ჩადენილია იმ ტერიტორიაზე, რომელსაც საერთაშორისო თანამეგობრობა საქართველოს შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს. მას ამ საკითხისადმი საერთაშორისო სამართლისა და ვენის კონვენციიდან გამომდინარე მიდგომა აქვს (რომელიც უშუალოდ ექსტრადაციის საკითხებს ეხება) და ამის გამო გადაწყვეტილება საქართველოს მხარემ უნდა მიიღოს.

მეფარიშვილისათვის უცნობია, როგორ განვითარდება პოლიტიკური კონიუნქტურა. რუსეთმა, მართალია, ცალმხრივად ცნო აფხაზეთის დამოუკიდებლობა, მაგრამ საქართველო საერთაშორისო ორგანიზაციების დარად ამ ტერიტორიას თავის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს და ამის გამო იქ დანაშაულის ჩამდენი ქართული კანონმდებლობით უნდა გასამართლდეს. ყოფილი გენპროკურორი ერთადერთ გამოსავალს იმაში ხედავს, საქართველოს საგამოძიებო ორგანოებმა გამოითხოვონ რფ-ს შესაბამისი სტრუქტურებიდან ლაკაევზე არსებული მასალები სოხუმში ჩადენილი დანაშაულის ირგვლივ. ბრალი წაეყენოს და გასამართლდეს ქართული კანონმდებლობით, რუსეთს აქვს უფლება ითხოვოს ექსტრადირება, აქ ყველაფერი მხოლოდ ქართულ ნებაზე ინება დამოკიდებული – ამბობს პროფესორი.

პოლიტიკური დაპირისპირების შესაძლო წარმოშობის თაობაზე მეფარიშვილი თვლის, რომ იმაზე მეტი რაღა უნდა მოხდეს, როდესაც ტერიტორიების 20 პროცენტი ოკუპირებულია.

ექსპერტთა დიდი ნაწილი მეტად სახიფათოს უწოდებს ლაკაევის საქმეს, საქართველოს კატეგორიული უარი ექსტრადაციაზე, უკმაყოფილებას გამოიწვევს რუსეთში, რასაც მოჰყვება პრობლემები უკვე მიღწეულ ეკონომიკურ საკითხებში. ამან შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს საქართველოს მოსახლეობის გარკვეულ ფენებზე.

საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ხალხებს შორის უკმაყოფილებისა და დაძაბულობის მიზეზი შეიძლება გახდეს ლაკაევის რუსეთისათვის გადაცემა, რა, ლაფანყურის საქმე არ გვეყოფა – კითხულობენ სპეციალისტები.

რაც შეეხება დასავლეთთან აპელირებასა და საერთაშორისო სამართლის ნორმების მოშველიებას. საქმეში ჩახედულნი აცხადებენ, რომ რუსეთი არასოდეს, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, არ ყოფილა საერთაშორისო ხელშეკრულებების უპირობო დამცველი, საიმედო მოთამაშე, ამაზე კი წონიანი საერთაშორისო ორგანიზაციები თვალს ხუჭავენ.

მაგალითად სპეციალისტებს მოჰყავთ ევროსაბჭოს ამჟამინდელი ვიზიტი საქართველოში. წარმომადგენლობითი დელეგაცია ჩვენმა მხარემ სოფელ დიცში ჩაიყვანა სიტუაციის ადგილზე გაცნობად. თვალით ნანახი მავთულხლართებითა და ტერიტორიების უკანონო მოზომვით უცხოელი დიპლომატები ადგილზე კი აღფშთოდნენ, მაგრამ ოფიციალურ განცხადებებში მხოლოდ ჩვენს მხარეს მოუწოდეს მოთმინებისა და თავშეკავებისაკენ. რუსეთის მიმართ რაიმე სახის კრიტიკა ჩვენ მათ განცხადებაში არ გაგვიგია – გულდაწყვეტით აცხადებენ ექსპერტები.

მათ ნაწილს მოჰყავს ამონარიდი ერთ-ერთი ამერიკული ჟურნალიდან, სადაც პოლიტოლოგთა ჯგუფი აკრიტიკებს ობამას ადმინისტრაციას თავისი სტატეგიული პარტნიორებისადმი პრობლემების მოგვარებაში დახმარების არ გაუწევლობის გამო. კერძოდ, როდესაც რუსეთმა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების გადმოწევა და მავთულხლართების გაბმა დაიწყო, რასაც უმალ მოჰყვა ქართული მხარის მწვავე რეაქცია და დახმარებისათვის საერთაშორისო საზოგადოებისადმი მიმართვა, შსს-ს სახელმწიფო დეპარტამენტს საკითხთან დაკავშირებით რაიმე მნიშვნელობის განცხადებაც კი არ გაუკეთებია – მრავალმნიშვნელოვნად აცხადებენ პოლიტიკაში ჩახედულნი.

რიგითი თბილისელი დათო გურგენიძე კი შექმნილ სიტუაციას „ვაის გავეყარე, უის შევეყარედ“ აფასებს, ხოლო საქართველოსა და მისი ხელისუფლების მდგომარეობას „ჭრელო პეპელას“ ადარებს.

ზაზა ბილიხოძე

მამუკა არეშიძე: აფხაზეთის დექართველიზაციის მორიგ მცდელობას ხელი არ უნდა შევუწყოთ!

ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე „ჯი-ეიჩ-ენისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აფხაზეთის დექართველიზაციის მცდელობას უწოდებს სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, გალის, ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონებში მცხოვრები ქართველი ეროვნების მოსახლეობისთვის ე.წ. აფხაზური პასპორტების ჩამორთმევის შესახებ. აფხაზური პასპორტი კი ბოლო მონაცემებით, იქ მცხოვრებ დაახლოებით 25 ათასამდე ჩვენს თანამოქალაქეს აქვს.

— ბ-ნო, მამუკა, როგორ შეაფასებდით სეპარატისტული ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ე.წ. აფხაზურ პასპორტებთან დაკავშირებით და ამის გამო კიდევ უფრო გაურთულდებათ თუ არა მდგომარეობა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ჩვენს თანამოქალაქეებს?

— დიახ, როგორ არ გაურთულდებათ. მე ვიტყოდი, ეს არის დისკრიმინაციული, აპარტეიდული გადაწყვეტილება. რასაკვირველია, ეს გადაწყვეტილება შეფუთულია და ამ შეფუთვაში არჩეულია ასეთი ფორმა — ორმაგი მოქალაქე შეიძლება იყო მხოლოდ რუსეთთან. მოქალაქეებს კი, რომლებსაც აქვთ საქართველოსა და აფხაზეთის პასპორტები, მათ ყველას უნდა ჩამოერთვათ აფხაზური პასპორტები და დარჩეთ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობა, რა თქმა უნდა, ვისაც უნდა. ხოლო ვისაც არ უნდა, მათ უარი უნდა თქვან საქართველოს მოქალაქეობაზე.

— ეს არის ერთგვარი მეთოდი იმისა, რომ რაც შეიძლება მეტი ქართველი გამოდევნონ აფხაზეთიდან.

— რასაკვირველია, შეიძლება ვინმემ თქვას, რომ, თუ აფხაზეთში ცხოვრება უნდათ, შეინარჩუნონ თავიანთი ქართველობა, ოღონდ ქართული პასპორტის გარეშე. მე ეს ლოგიკა მესმის, რომ არ ვიცოდე, რაზეა ორიენტირებული, მაშინ გავიგებდი ამას.

— და რაზეა მათი ძირითადი ორიენტირი?

— ძირითადი ორიენტირი არის იმაზე, რომ რაც შეიძლება მეტი ქართველი წამოვიდეს აფხაზეთიდან. დღეს აფხაზური ინტელიგენციის ერთ ნაწილს და დეპუტატთა დიდ ნაწილსაც ტვინში აქვთ ჩადებული ჯერ კიდევ, რომ ქართველები არიან მათი მთავარი უბედურება. ისინი ვერ ხვდებიან, რომ დემოკრატიული თვალსაზრისით ისინი რუსეთთან უკვე კარგა ხანია აგებენ. ეს პროცესი გაგრძელდება და იმავე პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან აფხაზები, რაშიც იყვნენ 90-იანი წლების დასაწყისში.

მასშტაბური დამოუკიდებლობის მიღების სურვილი მათი მხრიდან ისიც არის, რომ მათ ძალიან კარგად იციან, რომ ამ შემთხვევაში, თუ მათ მიიღეს საერთაშორისო აღიარება, საერთაშორისო ნორმების თვალსაზრისით ისინი ასეთი ნაბიჯების გადადგმას ვერ შეძლებენ.

ვერ შეძლებენ ასევე იმ კონსტიტუციის შენარჩუნებას, რომელიც მათ დღეს აქვთ, რომლის მიხედვითაც, აფხაზეთის პრეზიდენტი შეიძლება იყოს მხოლოდ აფხაზი და ხელმძღვანელი მუშაკებიც მხოლოდ აფხაზები. პრეზიდენტის შესახებ ეს კონსტიტუციაში წერია, ხელმძღვანელ მუშაკებზე — არა, მაგრამ ეს არის ნორმა.

ასე რომ, ახლა აფხაზები ცდილობენ, საერთაშორისო აღიარებამდე მივიდნენ ისე, რომ რაც შეიძლება მეტი ქართველი გამოდევნონ აფხაზეთიდან და ზოგადად, ქართველების რიცხვი შეამცირონ აფხაზეთში. ეს არის ერთ-ერთი მეთოდი.

— შესაძლებელია თუ არა, რომ ამ გადაწყვეტილების გამო, ჩვენ მართლაც მივიღოთ აფხაზეთში ჯერ კიდევ მცხოვრები ქართველების კიდევ ერთი ნაკადი? წამოვა ხალხი იქიდან?

— რაღაც ნაწილი წამოვა, ალბათ. ამასთანავე, ვისაც ქართული პასპორტი არ ექნება და ექნება მხოლოდ აფხაზური, იმ ქართველებს შეიძლება აქაც შეექმნათ პრობლემა და აქედან გამომდინარე, ზოგიერთი ამ ნაბიჯს გადადგამს.

შეიძლება ყველა ქართველმა ჩააბაროს ქართული პასპორტი და დაიტოვოს მხოლოდ აფხაზური, ვინც იქ ცხოვრობს. აქ სხვა რამეა მთავარი. აქ არის ლაპარაკი იმაზე, იმათ რა აქვთ ჩაფიქრებული. ამაშია საქმე, თორემ ყველა ქართველმა შეიძლება ჩააბაროს პასპორტი და დარჩნენ ისევ აფხაზეთში.

— მხოლოდ პასპორტის ჩაბარებაზე არ არის საუბარი. მათ ოფიციალური დოკუმენტი სჭირდებათ, რომ იქაური ქართველების უარის თქმას საქართველოს მოქალაქეობაზე ადასტურებს საქართველოს ხელისუფლება...

— ვიმეორებ, რომ შეიძლება ვიღაცამ მიიტანოს საბუთები ზუგდიდის საჯარო რეესტრიდან, რომ ისინი არ არიან საქართველოს მოქალაქეები, შეიძლება ყველამ მიიტანოს. მე ქართველების საქციელის მომავალ ქმედებაზე განსჯას არ დავიწყებ, მე დავიწყებ ლაპარაკს იმაზე, რაც მათ აქვთ ჩაფიქრებული. ეს არის მთავარი, თორემ იქ ქართველი როგორ მოიქცევა, ეს სულ სხვა საკითხია.

— პასპორტების საკითხით სეპარატისტები მუდმივად აპელირებდნენ, მაგრამ მან გადაწყვეტა მხოლოდ ახლა ჰპოვა. რატომ?

— უკვე სამი, ოთხი წელია, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, სულ მიმდინარეობს რაულ ხაჯიმბასა და მისი მომხრეების ბრძოლა, რომ ქართველებისთვის შეწყვეტილიყო პასპორტების გაცემა, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, უკანონოდ ცნობილიყო ის პასპორტები, რაც გაიცა. ეს არის ხაჯიმბას პოლიტიკური გუნდის, ასე ვთქვათ, ძირითადი პოლიტიკური გზავნილი საზოგადოების მიმართ.

ხაჯიმბამ თავისი პოლიტიკური გუნდის მოქმედებები აფხაზური საზოგადოების პატრიოტულ ნოტებზე ააწყო. მისი მთავარი გზავნილი ეს იყო და მიაღწია კიდეც თავისას.

მან მოახერხა ინტელიგენციის ნაწილის გადაბირება, როგორიც არის, მაგალითად, ენიკი და ზოგიერთი სხვა, და დეპუტატების გადაბირება, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინწინ წინააღმდეგნი იყვნენ ამ კანონის მიღების. მოკლედ, ხაჯიმბამ თავისი გაიტანა.

აფხაზეთის გენპროკურორი საფარბეი მიქანბა წინააღმდეგია ამ კანონის მიღებისა, მაგრამ ახლა არ გაუვიდა.

მოკლედ, ასეა თუ ისე, ანქვაბის რეჟიმის დასუსტებამ გამოიწვია ხაჯიმბას გაძლიერება და ხაჯიმბა სწორედ ასეთი ტიპის პოლიტიკური ნაბიჯებით ცდილობს, გააძლიეროს თავისი მდგომარეობა.

— რა უნდა გააკეთოს ამ შემთხვევაში საქართველომ? როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენ?

— ვიცი, რომ ამას მოჰყვება წივილ-კივილი და უბედურება, მაგრამ იმისთვის, რომ ქართული ელემენტი და ქართველი ხალხი შევინარჩუნოთ იქ, რბილად რომ ვთქვა, შეიძლება ზოგიერთ რამეზე თვალი დავხუჭოთ, იმიტომ რომ ჩვენ დევნილთა ახალი ნაკადი ახლა ნამდვილად არ გვჭირდება და იმიტომ არ გვჭირდება, რომ აფხაზეთის დექართველიზაცია გამოიწვევს სამუდამოდ ხელის ჩაქნევას ამ რეგიონზე.

მე ამ შემთხვევაში აფხაზეთის დაბრუნება-არდაბრუნებაზე არ ვლაპარაკობ. მე ვლაპარაკობ იმ ადამიანების კანონიერ უფლებაზე ყველანაირი საერთაშორისო ნორმით, რომლებიც იქ ცხოვრობენ.

ნუ დაგვავიწყდება, რომ გაეროს რამდენიმე რეზოლუცია არსებობს იქ დევნილთა დაბრუნების. აფხაზეთის დღევანდელი ხელმძღვანელობა სულ მაგით ტრაბახობდა — დევნილები დავაბრუნეთო, სულ ეს არგუმენტი მოჰყავდათ. დევნილების დაბრუნების პროცესად ითვლებოდა გალის რაიონში ქართველების დაბრუნება. ამ კანონით კი ისინი უარს ეუბნებიან იქაურ ქართველებს იქ ცხოვრებაზე. ჩვენ კი მათ ამაში ხელი არ უნდა შევუწყოთ.

ესაუბრა
ეკატერინე მოუცელიძე

◎ ალიან-ჩალიანი

ტურისტთა სტუმრობა შესამჩნევად მატულობს

საქართველოში ტურისტების რაოდენობის ზრდამ მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მთავარ გამოცემაში მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ანგარიში UNWTO World Tourism Barometer სადაც საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობის ზრდა არის შეფასებული როგორც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე მაღალი (6 თვის მონაცემებით).

მომდევნო პოზიციებს ინაწილებენ სლოვაკეთი, სომხეთი, ლატვია და ლიტვა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს შესახებ ინფორმაცია მტო-ს მთავარ წლიურ გამოცემაში მოხვდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ტურისტული ქვეყანა. ეს ფაქტი მნიშვნელოვანია ქვეყნაში ტურიზმის განვითარების მიმართ მსოფლიო საზოგადოების ყურადღების მიპყრობის კუთხით, რადგან ხსენებული გამოცემები მეტად სარწმუნო და გავლენიან ინფორმაციის წყაროებს წარმოადგენენ ტურიზმის მსოფლიო ინდუსტრიაში.

8 თვის მონაცემებით, ქვეყანაში შემოსული უცხოელი მოგზაურების რიცხვმა 3 568 518 შეადგინა, ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 26%-ია.

საერთაშორისო მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა აგვისტოს თვეზე მოდის (770 608) სტატისტიკურად, საქართველოში შემოსული მოგზაურების უდიდესი წილი ზაფხულის სეზონზე აღინიშნება.

ხელმძღვანელი პირები ყალბ დოკუმენტებს ამზადებდნენ

ყალბი საგადასახადო დოკუმენტის ჯგუფურად დამზადება-გასაღების და სხვისი სასაქონლო ნიშნის უკანონოდ გამოყენების ფაქტებზე, ერთ-ერთი საწარმოს ხელმძღვანელი პირები დააკავეს.

როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან იტყობინებიან, დაკავებულები არიან ტრისტან შუკაკიძე, გიორგი ცეზარის ძე აღაპიშვილი და გიორგი ტრისტანის ძე აღაპიშვილი. საგამოძიებო სამსახურის ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულები, ცემენტის გაყიდვისას, გარკვეული გასამრჯელოს მიღების სანაცვლოდ, საგადასახადო დოკუმენტაციაში ფასებს ხელოვნურად ზრდიდნენ. ასევე, აყალბებდნენ „ჰაიდელბერგ ცემენტის“ სასაქონლო ნიშანს და ისე ახდენდნენ პროდუქციის რეალიზაციას.

ინტერპრესი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2013 წლის 13 ნოემბერს 12 საათზე, შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში (მისამართი ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი 17ª) გაიმართება შპს „ეკოოორგანიკალ კორპ“-ის დაქვემდებარებულ ავტომობილის მწყობრიდან გამოსული სალტეების და რეზინის სხვა ნარჩენების უტილიზაციის საამქროს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია ავტომობილის მწყობრიდან გამოსული სალტეების და რეზინის სხვა ნარჩენების სხვა უტილიზაციის საამქროს მოწყობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- შპს „ეკოოორგანიკალ კორპ“-ის ოფისში — ქ. თბილისი, პეკინის ქ №37.;
- შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 5 (95) 59 52 55.

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაციის გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში .

შპს „ეკოოორგანიკალ კორპ“-ის ადმინისტრაცია

საქართველოს პარლამენტს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის სასწრაფოდ დათხოვნისკენ მოუწოდებს რადიო „უცნობის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ბასა ჯანიკაშვილი, რომლის შეფასებით, დღეს ეს ტელეკომპანია ჩიხშია შეყვანილი და ტელევიზია ტელევიზიას არ ჰგავს.

გახელაძე თაღლითია!

ამბობს გოგა ხაინდრავა და პარლამენტისგან ამ უმსგავსობისთვის წერტილის დასმას მოითხოვს

„საზოგადოებრივი მაუწყებელის ბორდი პოლიტიკურად მოტივირებულია. იქ არიან „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დასაქმებული ადამიანები. საპრეზიდენტო არჩევნების წინ ბორდის მიერ არხის გენერალური დირექტორის გათავისუფლება პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. მაშინ, როცა ბორდში 15 ადამიანია და დირექტორის გადაყენების საკითხს ცხრა წყვეტს, ეს პოლიტიკური ანგარიშსწორებაა“, — აცხადებს ბასა ჯანიკაშვილი.

ექსპერტი კახი კახიშვილი თვლის, რომ ბორდი „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებით და კარნახით მოქმედებს.

„თუ ბორდის დაკომპლექტების ანატომიას დავაკვირდებით, გასაკვირი არ არის, რომ საზოგადოებრივ არხზე მაინცდამაინც სხვა ვინმე ვერ მოხვდებოდა, თუ არა „ნაციონალური მოძრაობის“ რეკომენდაციით. აქედან გამომდინარე, პირდაპირ იკვეთება, რომ ეს ადამიანები თავის დროზე კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტის მხრიდან იყვნენ დანიშნულები.

დღეს, როდესაც წინასაარჩევნო პერიოდში საზოგადოებრივ მაუწყებელში ასეთი ცვლილება ხორციელდება, თან დაუსაბუთებლად, შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ ეს კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტის ინტერესებში შედის. სხვა მიზეზებს, გარდა პოლიტიკურისა, ვერ ვხედავ. მიზეზი ერთია, რომ იმ პოლიტიკურ სუბიექტს, რომელიც ბორდის უკან დგას, გავლენის მოპოვება და პრობლემების შექმნა სურს, რადგან ყველა შემთხვევაში, ეს პრობლემები არჩევნების შეფასების დასკვნაში აისახება“, — განაცხადა კახი კახიშვილმა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე სამეურვეო საბჭოს „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან მართვასთან დაკავშირებით ყველა ინფორმაციას აბსურდს უწოდებს. როგორც ემზარ გოგუაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, არავის მისცემს საშუალებას, რომ ვინმემ მართოს. რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, რომ ის შოთა უტიაშვილს შეხვდა, გოგუაძის განმარტებით, ის შოთა უტიაშვილს საერთოდ არ იცნობს.

რეჟისორი გოგა ხაინდრავა for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის გარშემო მიმდინარე მოვლენებს უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია აკონტროლებს. ის მიმართავს პარლამენტს, იქნებ, დაამთავრონ და წერტილი დაუსვან ამ უმსგავსობას, ამ ცრუბორდომანიას.

— დროა, საზოგადოება მიხვდეს, — ამბობს იგი, — რომ ამ ქვეყნის მმართველი არის ეს საზოგადოება. სწორედ ეს საზოგადოება უხდის ხელფასს იმ სამარცხვინო ბორდს, რომელიც ბატონყმურ ტრადიციებს აგრძელებს საქართველოში. ამას ბოლო უნდა მოეღოს, ამის მოთმენა აღარ შეიძლება. ის ვითომ ჟურნალისტები, რომლებიც მოკალათებული იყვნენ ტელევიზიაში, იგივე დათო პაიჭაძე, ეს არის პოლიტიკური კორუფციის სიმბოლო. დათო პაიჭაძემ ის გადაცემა და პირველ არხზე პორტფელი მიიღო იმიტომ, რომ მონაწილეობა მიიღო არჩევნების გაყალბებაში. ეს იყო საზღაური, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მას მიუძღვნა ქართველი ხალხის მოტყუების გამო, რაც, ჩემი აზრით, დასჯადია.

რაც შეეხება ეკა კვესიტაძეს, მისი ქმარი იყო ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი იმ უბედურებისა, რაც 2008 წელს თავს დაატყდა საქართველოს. ის არის საქართველოს წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში ეჭვმიტანილი ადამიანი. ეს ორი პერსონა — პაიჭაძე და კვესიტაძე „ნაცინოლური მოძრაობის“ კრიმინალური პოლიტიკის იდეოლოგები და განმხორციელებლები იყვნენ. მათ ჟურნალისტობასთან რა კავშირი აქვთ, არ მესმის. ისინი უფრო პროკურორებად გვევლინებოდნენ.

— რაც შეეხება ბორდის ყოფილ თავმჯდომარეს ლევან გახელაძეს, არაოფიციალურად ის ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას, დადის ტელევიზიაში, მართავს შეხვედრებს, ატარებს თათბირს და გასცემს განკარგულებას. როგორ ფიქრობთ, გახელაძე რატომ სარგებლობს ამ უფლებამოსილებით, ეს არაა იმ პოლიტიკურ ძალასთან შეთანხმებული, რომელმაც, თავის დროზე, ამ შემადგენლობით დააკომპლექტა ბორდი?

— თავის დროზე, ეს ბორდი პოლიტიკური შეთანხმების საფუძველზე შეიქმნა, რაც არასწორი იყო. მაშინ პოლიტიკური კონიუნქტურა ასეთი იყო. გახელაძე არის თაღლითი. გახელაძე არის ადამიანი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ტერორისტული იდეოლოგიის გამტარებელი და სულის ჩამდგმელი იყო. ის იყო გუშაგი პირველ არხზე. „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან ახლა მიდის გავლენის შენარჩუნების მცდელობა. რა ესაქმება გახელაძეს საერთოდ ამ ტელევიზიაში?!

— ის არის სამეურვეო საბჭოს წევრის ნინო დანელიას წარმომადგენელი — ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე...

— ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ ჯგუფი, რომელიც თავიდანვე დაეპატრონა ამ არხს. გახელაძე და დანელია რისი ექსპერტები არიან, არ ვიცი, წლების განმავლობაში რა მდგომარეობაში იყო საზოგადოებრივი მაუწყებელი, იმის მიხედვით შეიძლება შედეგზე ვისაუბროთ. ხე ნაყოფით შეიცნებაო, სწორედ ასე არის მათი საქმე. არ მაინტერესებს, ვინ, ვის რა მინდობილობა მისცა, ეს ბორდი უნდა დაიშალოს. არანაირი ლეგიტიმურობა ამ ბორდის გადაწყვეტლებას არ აქვს და არც ექნება.

მივმართავ პარლამენტს, რომ ბოლო უნდა მოუღონ ამ უმსგავსობას. ამ პოლიტიკურ თამაშებს და კოჭაბიტაციებს წერტილი უნდა დაესვას! საზოგადოებრივი მაუწყებელი ძალიან ძვირადღირებული დაწესებულებაა, რომელიც გადამხდელებს ძალიან ძვირი უჯდებათ — 35 მილიონზეა ლაპარაკი. ამას უნდა აკონტროლებდეს საზოგადოება და არა გახელაძეები და დანელიები. ბორდს უნდა ხელმღვანელობდნენ საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომელთა პროფესიონალიზმში ეჭვი საქართველოს მოსახლეობას არ შეეპარება. ვინ არის საერთო ბორდის თავმჯდომარე, მისი სახელიც კი არ ვიცი.

— ეს არის ემზარ გოგუაძე...

— რა კაცია? საიდან მოდის? რა აქვს ამ ქვეყნისთვის გაკეთებული? რითი იცნობს ქართული საზოგადოება ამ ადამიანს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდი ჩააბარონ, რითია გამორჩეული, საერთოდ ვინმე იცნობს? რა დამსახურებისთვის გახდა ამხელა პასუხიმგებლობის მატარებელი, რომელიც ზის და განაგებს საქართველოსა მოსახლეობის მიერ გადახდილ ფულს? გამაგებინეთ — რატომ? ვინ იცნობს საერთოდ მას ბოკერიას გარდა?

— მოვლენები, რომლებიც ახლა ვითარდება საზოგადოებრივ მაუწყებელზე, — არხის დირექტორის ორჯერ გათავისუფლება, — ეს ადასტურებს იმას, რომ ბორდი „ნაციონალური მოძრაობის“ კარნახით მოქმედებს?

— რა თქმა უნდა, ამ პროცესებს ბოკერია და სააკაშვილი აკონტროლებენ. მათი დანიშნულები არიან ამ ბორდის წევრები, მათი ყმები არიან. ყველაფერი თეთრი ძაფით არის ნაკერი. იმის გამო, რომ 9 წლის განმავლობაში სიცრუეში ამყოფებდა მთელ საქართველოს ბერძენიშვილი, ადგნენ და გამგებლად დანიშნეს. სააკაშვილს და ბოკერიას ეს ქვეყანა თავისად მიაჩნდათ. დამსახურებების გამო ნიშნავდნენ ადამიანებს თანამდებობაზე. კიდევ ერთხელ მივმართავ პარლამენტს, იქნება დაამთავრონ და წერტილი დაუსვან ამ უმსგავსობას, ამ ცრუბორდომანიას!

თამთა ქარჩავა

◎ თბილისის ზოოპარკში

სექსუალური ზებრა

ქალაქში ხმა გავარდა, ზებრა დაუჭერიათ და ზოოპარკში გამოუმწყვდევიათო. რატომ? რას გაიგებ, ათას რამეს აბრალებენ — ტირანობას, მძარცველობას, შპიონობას, აფერისტობას, მოღალატეობას და რას აღარ, თქვენ წარმოიდგინეთ, სექსუალურ აშლილობასა და მდედრების მასობრივად გაბახებასაც კი. მთელ დუნიაზე გახმაურებული ამ კრიმინალური ავტორიტეტის სანახავად თბილისის ზოოპარკს თურმე უამრავი უცხოელი და ადგილობრივი ტურისტი მიაწყდა. გულმა მეც იქითკენ გამიწია.

ბილეთი ავიღე და შევედი, მაგრამ რატომღაც ზოოპარკის ნაცვლად რაღაც კარუსელ-ატრაქციონების სამყაროში აღმოვჩნდი. რა ვეფხვები, რის ზებრები და ფარშევანგები, აქ ნამდვილი დისნეილენდი გაუშენებიათ. მაგრამ არა ზოოპარკის ზემოთ — ვერეს ხეობაში, როგორც თავის დროზე მწერალს ჰქონდა ჩაფიქრებული, არამედ შიგ შუა ზოოპარკში.

რა უჭირს მერე, ვთქვი ჩემთვის, როცა რეალობა გავაცნობიერე, აუცილებელი კი არ არის, ყველაფერი ისე გაკეთდეს, როგორც მწერალი ჩაიფიქრებს. ვერეს ხეობაში ქალაქი გაშენდა, გზატკეცილიც გაიყვანეს, როგორც ჩანს, იქ დისნეილენდისთვის ადგილი აღარ დარჩა და ზოოპარკში ამიტომაც განათავსეს. შეიძლება ასე უკეთესიც იყოს, ბოლოს და ბოლოს იქ მარტო ბავშვები გაერთობოდნენ, ამ შემთხვევაში კი მხეცებიც გაკაიფდნენ. ეს, ეტყობა, პატარა ბიჭმაც შენიშნა, როცა იკითხა:

— ბაბუ, ბაბუ, ეს მელა პენსიონერია?

— არა შვილო, ზოოპარკში პენსიონერებს რა უნდათ?

— აბა აბუზული და ნეკნებგალასტული რო არის?

— ვერ გეტყვი, ბაბუა, ალბათ, ჯიში აქვს მასეთი, — სცადა აბეზარი კითხვისგან თავის დაძვრენა ბერიკაცმა, ბიჭს ხელი მოკიდა და ტურების ბოლიერთან მიიყვანა.

მე მომენტით ვისარგებლე და მარტოდ დარჩენილ მელიას გამოველაპარაკე.

— გაიგე, ძმაკაც, ვეუბნები, — ბიჭმა რა იკითხა?

— გავიგე, მაგრამ თავი მოვიმძინარე.

— რატომ, მართლა პენსიონერი ხარ?

— კი, რახანია პენსიაზე გამიშვეს.

— მიზეზი?

— ვითომ არ იცოდე, რეფორმებს ვატარებთო!

— სადა, კაცო, ზოოპარკში? — გავიკვირვე.

— ჰო, რას შეიცხადე, ვერა ხედავ, საატრაქციონო ბიზნესის რა გნიასია? შეიძლება ჩვენ, ნადირ-ფრინველს, იმდენად არა, მაგრამ მაგათ რეფორმა ნამდვილად სჭირდებათ.

— მართალი ხარ, — დავეთანხმე, — თანაც გამოცდილი ჩანხარ, ადრე სად მუშაობდი?

— იჰ, სად აღარ, ჩემო კარგო, მოქკავშირის ბატონობის პერიოდში კანცელარია, პარლამენტი, საგადასახადო და საბაჟო, ყველა შემოვიარე.

— შემდეგ შენს ადგილზე ვინ გაუშვეს?

— მგელი, ჩემო ბატონო, მგელი. საერთოდ, ნაცებმა მელიების და ტურების ნაცვლად ყველგან მგლები დასხეს.

— რატომ, ხომ არ იცი?

— ახლა მგლების ჯერიაო.

— პასუხად მთავრობის დამხობა არ გიცდიათ?

— არა, რას ამბობ, იმაზეც მადლობლები ვართ, ციხესა და ცოცხებით გაუპატიურებას რომ გადავრჩით.

მელა მაინც მელაა, ხელისუფლებაზე აუგს ვერ წამოაცდენინებ, გავიფიქრე და სანუკვარ ზებრასთან მიღწევამდე, მაიმუნის ბოლიერთან გადავინაცვლე. რგოლზე ჩამოკიდებულ შიმპანზეს ნაშიერი აეტატებინა და, როგორც სჩვევია ხოლმე, გამომწვევად იჭყანებოდა.

— რას გადამეკიდე, რა გინდა? — მკითხა ამრეზილმა.

— ეგ ჩვილი ვისია? — დავინტერესდი.

— ჩემია.

— გალიაში, მამრი რომ არ ჩანს, საიდან?

— იქიდან! — ცდილობს მომიცილოს.

— ეგ ზოლებიც იქიდან?

— ჰო, იქიდან! — ამბობს და დაელმებულ თვალებს ზებრისკენ აპარებს.

— ზებრას მაიმუნის გალიაში რა უნდოდა? — შევიცხადე და შიმპანზეს კრიმინალი მეზობელი იჭვნეულად შევათვალიერე.

— მიდი აბა ჰკითხე, ამბობს ცხოველთა მეფე ვარო, თანაც დემოკრატიო. უარს ვერ ეტყვი, როცა მოუნდება, მაშინ შემოალაჯებს.

— დაცვა არა გყავთ?

— ჩვენ არა, თვითონა ჰყავს.

— სხვებთანაც შედის?

— აბსოლუტურად ყველასთან, ვისთანაც მოისურვებს. ვიდრე დაიჭერდნენ, ძალიან დიდ თანამდებობაზე უმუშავია (მგონი, პრეზიდენტად), და მდედრების იძულებით ჩინჩვლას მიჩვეული ყოფილა. ახლა დაჭერილია, მაგრამ მაინც იმავეს მოითხოვს ჩვენგან. აგე, ამას წინათ მაჩვზღარბას მაგისგან ზოლიანი კვიცი ეყოლა. ძალიან გაუჭირდა, საცოდავი კინაღამ მშობიარობას გადაყვა.

— მერე, არ გაასაჩივრა?

— არა, რა თქმა უნდა, ჩვენ ზოოპარკელები, სექსუალურ დემოკრატიას რახანია მიჩვეულები ვართ!

ოტია ჩართოლანი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველო: ისლამიდან ქრისტიანებად მონათლულთა რიცხვის ზრდა

საკითხი შეეხება ერთგვარ უნიკალურ მოვლენას მსოფლიო პრაქტიკაში: 1991 წელს აჭარლებს შორის, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ და ცხოვრობენ საქართველოს სამხრეთ დასავლეთში, 75 პროცენტი მუსლიმანი იყო. დღეისთვის, ამ ცოტა ხნის წინათ აღმოჩენილი ოფიციალური დოკუმენტების თანახმად, აჭარის რესპუბლიკაში მცხოვრებთა 75 პროცენტი, რომლებიც ცხოვრობენ ბათუმსა და მის შემოგარენში, მიეკუთვნებიან საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. საკითხი შეეხება მოულოდნელ და გასაოცარ მონათვლას ქრისტიანებად.

აჭარლების ისლამიზაცია 1614 წლიდან იწყება, როდესაც მათი ტერიტორია ოსმალეთის იმპერიამ დაიპყრო.

1878 წელს რუსეთის იმპერიის მიერ ანექსირებული აჭარა, რომლის ტერიტორიაც სამი ათას კვადრატულ კილომეტრს მოიცავს, გადავიდა საქართველოს იურისდიქციაში 1920 წელს, ხანმოკლე კონფლიქტის შემდეგ გახდა საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს შემადგენლობაში. დღეს აჭარა კვლავ ავტონომიური რესპუბლიკაა საქართველოს შემადგენლობაში. როგორც სამხრეთი ოსეთიც, რომელიც თბილისს 1991 წელს გამოეყო, იგი მიეკუთვნება კავკასიის ისეთ ტერიტორიებს, რომლებიც აღმოჩნდნენ ორმხრივი ცეცხლის ზონაში რუსეთისა და საქართველოს მხრიდან, რომლებიც იბრძოდნენ ტერიტორიული ბატონობისთვის, აგრეთვე იტანჯებოდნენ საქართველოს პრეზიდენტ სააკაშვილის რეპრესიებით, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა 2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ შედეგად და არის დამოუკიდებლობისთვის მოძრაობის შეურიგებელი მტერი.

აჭარლების ქრისტიანებად მასობრივი დაბრუნების პროცესის შესახებ უკვე იტყობინებოდა ბათუმის მიტროპოლიტი დიმიტრი 2012 წლის ბოლოს მიცემულ ინტერვიუში. მიტროპოლიტმა დიმიტრიმ თქვა, რომ თითქმის მთელი ხალხის მოქცევა ქრისტიანებად მოხდა მის თვალწინ: „1991 წელს ხუთი ათასი კაცი, რომელთა შორისაც იყვნენ მუსლიმანები და ათეისტები, გადავიდნენ მართლმადიდებლობაში. იმავე წელს ჩვენ გავხსენით ხულოში უმაღლესი თეოლოგიური სკოლა. ეს იყო პირველი რელიგიური სკოლა, რომელიც სსრ კავშირში გაიხსნა.

დღეს ბევრი მღვდელი ისლამური ოჯახებიდან მოდის. საკმარისია ითქვას, რომ ბათუმის სემინარიის რექტორი არის მოლას შვილიშვილი, რომელმაც განათლება სტამბოლში მიიღო.

აჭარა სამხრეთში თურქეთს ესაზღვრება და, ზოგიერთი სტატიის თანახმად, რომლებიც გაჩნდა ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოებში, თურქები ცდილობენ, მხარი დაუჭირონ და გაზარდონ ისლამისტების ყოფნა რეგიონში.

აჭარის გაზეთები წერდნენ მათ ქვეყანაში ოსმალეთის იმპერიის ცნობილი მქადაგებლის სულეიმან ქილმი ტუნაჰანის ჩასვლის შესახებ, რომელიც ბულგარეთის სოფელში დაიბადა და 1959 წლამდე სტამბოლში ცხოვრობდა. სინამდვილეში, აჭარაში შენარჩუნებულია პატარა ისლამური ანკლავები, განსაკუთრებით რეგიონის ცენტრალური ნაწილის სოფლებში. ხულოში არის მეჩეთი და მადრასე, აგრეთვე მოხუცები თურქულად ლაპარაკობენ.

ამჟამად თანაცხოვრება მშვიდობიანად გეჩვენება, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანებად მონათვლაში ბევრი მუსლიმანი ერთგვარ ტაბუს ადებდა საქართველოს დანარჩენი ისლამური უმცირესობისთვის: ჩეჩნებისთვის, რომლებიც ცხოვრობენ ჩეჩნეთისა და დაღესტნის საზღვარზე, აღმოსავლეთ საქართველოს შიიტებისთვის, რომლებიც აზერბაიჯანის საზღვართან ახლოს ცხოვრობენ.

რასაკვირველია, უნდა ითქვას, რომ საქართველო არ ახალისებს ისლამის გავრცელებას. უფრო მეტიც, მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად ითვლება. აგვისტოს ბოლოს ადიგენის რაიონში, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშია, მოხდა მოვლენა, რომელსაც ადგილობრივმა ბეჭდვითმა სიტყვამ „განხეთქილების მინარეთი“ უწოდა.

სამოქალაქო ხელისუფლებამ მოხსნა მინარეთი, ვინაიდან არ იყო გადახდილი საბაჟო გადასახადი საჭირო სამშენებლო მასალებისთვის. მუსლიმანები, რომლებიც პროტესტს გამოთქვამდნენ ხელისუფლების მოქმედების წინააღმდეგ, დააპატიმრეს. მუსლიმანების ქრისტიანებად მონათვლის მიზეზები განმარტა ბათუმის მიტროპოლიტმა დიმიტრიმ: აჭარლები ძალით აქციეს მუსლიმანებად ოსმალეთის იმპერიის თურქებმა, მაგრამ არსებითად ისინი ქრისტიანებად დარჩნენ. თითქმის დღემდე ატარებენ ჯვრებს (ზოგჯერ ჩუმადაც), შეინარჩუნეს კვერცხის შეღებვის წეს-ჩვეულება აღდგომის წინ, რაც ტიპურია აღმოსავლელი ქრისტიანების ხალხური ტრადიციისთვის, და ინახავენ სახლებში ხატებს. ამას მიემატა რელიგიური აღმავლობა, რაც დამახასიათებელია სსრ კავშირის არსებობის უკანასკნელი წლებისთვის და იმ პერიოდისთვის, რომელიც მოჰყვა მის დაშლას 1991 წელს. საკმარისია გავიხსენოთ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის საჯაროდ მონათვლა ქრისტიანად, რომელიც იყო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი და რომელიც პატრიარქ ილია მეორის სულიერ შვილად იქცა.

დროულია გავიხსენოთ მოვლენებიც სამხრეთ ოსეთში, რომელიც საქართველოს ჩრდილოეთშია და რომელმაც სისხლიანი კონფლიქტის შემდეგ გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა საქართველოსგან 1991 წელს და განიცადა დიდი სულიერი აღორძინება, რასაც თან ახლდა ქრისტიანობად მონათვლა და რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა ალანიის ეპისკოპოსი გიორგი.

უნდა აღინიშნოს, რომ აქტიურ მოღვაწეობას ეწევა ქართული მართლმადიდებელი ეკლესია. ამ ცოტა ხნის წინათ მიღებული ზომების შედეგად კვლავ გაჩნდა უკმაყოფილება სომხეთის საზღვართან. რამდენიმე დღის წინათ სომეხმა მღვდელმა ახალციხეში მამა ჰაკობ საჰაკიანმა ადგილობრივ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს აცნობა, რომ ქართული ეკლესია აწყობს ლოცვებსა და რელიგიურ მსახურებას ორ ძველ ტაძარში სოფელ დამალაში, რომლებიც X-XI საუკუნეების სამონასტრო კომპლექსებს განეკუთვნებიან. ეს კომპლექსი იმ სომხების ისტორიულ მემკვიდრეობად ითვლება, რომლებიც საქართველოში ცხოვრობდნენ. ამჟამად ამ საქმეს ცუდი შედეგები არ ჰქონია. გაიგზავნა მოთხოვნა სომხეთის კულტურის სამინისტროში, რომელმაც დანიშნა სპეციალური კომისია და რომელმაც დავა უნდა გადაწყვიტოს.

ახალი დავა სომხებთან მოწმობს იმის შესახებ, რომ სახელმწიფო, რომელიც მართლმადიდებლობას ოფიციალურ რელიგიად აღიარებს და ფართოდ აფინანსებს ეკლესიას, თუმცა, არ გამორიცხავს ისტორიულ-რელიგიურ უმცირესობასაც, მაინც ცდილობს შეინარჩუნოს ქრისტიანული კონფესიების იერარქია. დამოკიდებულება კათოლიკურ ეკლესიასთან, რომელსაც საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით ორი პროცენტი მიეკუთვნება, ასევე ყოველთვის როდია მშვიდი.

არ არის ეჭვი, რომ საკითხი შეეხება შეგნებულ რელიგიურ პოლიტიკას, რომელიც დაკავშირებულია შინაგან უსაფრთხოებასთან და საზღვრების დაცვასთან. საკითხი შეეხება ძირითადად ისლამს ჩეჩნეთში, რომელშიც გარკვეული დროის აქეთ დამტკიცდა ისლამური „მოქნილი“ რადიკალიზმის ფორმა, რასაც თან ახლავს ცალკეული ინდივიდუმების ტერორისტული ინიციატივები, როგორც ეს გვიჩვენა ტერორისტულმა აქტმა ბოსტონში სამარათონო გარბენის დროს მიმდინარე წლის აპრილში.

VATICAN INSIDER

დედამიწის ზურგზე

„გაბანკროტებულ“ ბერეზოვსკისთან აღმოჩინეს აქტივები რვაას მილიარდ დოლარზე

ექსპერტების დასკვნა ბორის ბერეზოვსკის გაკოტრების შესახებ ადასტურებდნენ ვერსიას მისი თვითმკვლელობის შესახებ. მაგრამ, როგორც ჟურნალისტებმა გამოარკვიეს, ოლიგარქს სახსრები ჰქონდა: მას ჰქონდა აქტივების „პორტფელი“, რომელიც შეიცავდა უძრავ ქონებას საფრანგეთში, ბიზნესაქტივები და ხელოვნების საგნები. ამას გარდა, გაირკვა, რომ გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე ბერეზოვსკიმ შეცვალა ანდერძი.

ნარკომაფიამ გადანყვიტა შბორმის დროს დაზარალებული მექსიკელების პროდუქტებით დახმარება

ნარკოკარტელმა „კარტელ დელ გოლფომ“ სოციალურ ქსელებში განათავსა ვიდეორგოლი, რომელზეც მოჩანს, თუ მაფიოზებს როგორ მიჰქონდათ დაზარალებულ რაიონებში პროდუქტები და შემდეგ ანაწილებდნენ მათ. დამნაშავეთა ინიციატივა მადლობით მიიღეს დაზარალებულებმა, რომლებიც სიხარულით ინაწილებდნენ ჩამოტანილ საქონელს.

საუდის არაბეთმა შექმნა საკუთარი უპილოტო თვითმფრინავი

საფრენი აპარატის ფრენის სიშორე 150 კილომეტრს აღწევს. ჰაერში მას შეუძლია იყოს რვა საათის განმავლობაში, ფრენის მაქსიმალური სიმაღლე 5 ათას მეტრს შეადგენს, იტყობინება ადგილობრივი „სამეცნიერო ქალაქი“.

ასი წლის შემდეგ ფრანგებმა გაიმეორეს სახელგანთქმული მფრინავის როლან გაროსის მარშრუტი

თვითმფრინავმა „მორან-სოლნე ტიპ უ“, რომელიც გაროსის მანქანის ასლია, გადაკვეთა ხმელთაშუა ზღვა და დაჯდა ტუნისის ქალაქ გიზერტის მახლობლად. აპარატს, რომელიც დამზადებულია ფანერისა და ბრეზენტისგან, როგორც 1913 წლის ნიმუში, მართავდა 29 წლის ბატისტ სალი. იმავე დღეს კანიდან სტარტი აიღეს ინვალიდმა მფრინავებმა.

◎ შაბათ-კვირის ჩანაწერები

ორი გამოფენის შუქ-ჩრდილი

შუქი

უკვე რამდენიმე ღეა, რუსთაველის გამზირზე ქართველ მხატვართა ნამუშევრებია გამოფენილი. ერთი – ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, მეორე – საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში. ერთგან – დარბაზში შუქი იღვრება ქართველი აბსტრაქციონისტების – დავით კაკაბაძის, ალექსანდრე ბანძელაძის, ჯიმსონ ხუნდაძის, გია ეძგვერაძის, იური ბერიშვილის ძალზე საინტერესო ნამუშევრებიდან, მეორეგან – რამდენიმე დარბაზშია შუქი და სიხასხასე. აქ ძლივს დაუტევიათ სხვადასხვა თაობის 100-ზე მეტი ქართველი მხატვრის 200-ზე მეტი გრაფიკული, ფერწერული თუ სკულპტურული ნაწარმოები. ბევრი მათგანის ავტორი უკვე ამ ქვეყნად აღარ არის, მაგრამ ხომ დარჩა მათი, მართლაც მიმზიდველი შემოქმედება, რომელიც ასე გვეამაყება? მაგალითად, ელენე ახვლედიანისა, ქეთევან მაღალაშვილისა, ნათელა იანქოშვილისა, ნიკოლოზ კანდელაკისა, თენგიზ მირზაშვილისა, კოკი მახარაძისა, ოთარ ჩხარტიშვილისა და სხვათა, სახვითი ხელოვნების ჭეშმარიტი დიდოსტატებისა... ხოლო ცოცხლები, ღვთის მადლით, კვლავაც ნაყოფიერად შრომობენ, ზოგი მათი ნამუშევარი უკვე საკმაოდ ცნობილია მხატვრობის მოყვარულთათვის, ზოგიც სრულიად ახალია და ავტორებს დიახაც აინტერესებთ, როგორ მიიღებს მას დამთვალიერებელი, მაგრამ...

ჩრდილი

მაგრამ, სადაა დამთვალიერებელი?! არც სახვითი ხელოვნების მუზეუმში და არც ეროვნულ გალერეაში, დამთვალიერებელი და გულშემატკივარი თითქმის არავინ ჰყავს ამ ორ, მართლაც ღირსშესანიშნავ მოვლენას, გალერეის დარბაზებში. მაგალითად, რამდენიმე რუსი ქალბატონი (ალბათ, ტურისტი) მიმოდიოდა. არადა, გამოფენას თუ დამთვალიერებელი არ ჰყავს, რაზეა, საერთოდ, ლაპარაკი?! ჩემი აზრით, ეს კიდევ ერთი გულგრილობის გამოვლინებაა ქართველი საზოგადოებისა.

გალერეის თანამშრომელს, ხელოვნებათმცოდნე ანა ᲣᲛᲐᲜᲘᲐს არ უკვირს ჩემი გაოცება.

– ჩვენც გაოცებული ვართ, ბატონო... უფრო მნიშვნელოვანი გამოფენა, შეიძლება, არც გაიხსნას წელს. იგი ეძღვნება საქართველოს მხატვართა კავშირის დაარსების 80 წლისთავს. მოგეხსენებათ, მხატვართა კავშირი 1933 წელს ცნობილი მხატვრის დიმიტრი შევარდნაძის ინიციატივით დაფუძნდა, ასე ვთქვათ, ფილიალები აქვს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, აერთიანებს 1700-ზე მეტ მხატვარსა და ხელოვნებათმცოდნეს. როგორც ხედავთ, აქაც ნამუშევრების სიუხვეა, მაგრამ დამთვალიერებელი, სამწუხაროდ, თითო-ოროლა ჰყავს ამ ნამუშევრებს... დასანანია... არადა, შაბათი დღეა...

ვეთანხმები ანას და ჩემთვის ვფიქრობ: სამხატვრო აკადემიის პატივცემულო რექტორო და პედაგოგებო, იქნებ, მოაგვაროთ როგორმე, რომ ეს ნამუშევრები დაათვალიერონ აკადემიის სტუდენტებმა, ახალგაზრდობამ, ქართული სახვითი ხელოვნების ხვალინდელმა დღემ!.. დავიჯერო, მათ არ აინტერესებთ, რას ქმნიდნენ მათი სახელოვანი წინაპრები, ანდა, ჯერაც მათ გვერდით მყოფი უფროსი თაობა?! დავიჯერო, მათ ეს სიმდიდრე, ეს ყველაფერი, ასე თავმოყრილი, უკვე ნანახი და განცდილი აქვთ?!

დარწმუნებული ვარ, გალერეის ადმინისტრაცია სტუდენტის ბილეთით, უფასოდ შეუშვებს მათ დარბაზში.

მე პირადად, სიამოვნებით დავათვალიერე ორივე გამოფენა.

სურათზე: გალერეის დარბაზებში ერთიორი დამთვალიერებელია.

კოლეგა

ᲨᲝᲠᲘᲓᲐᲜ რომ შემამჩნია, თითქოს იუხერხულა კიდეც, მაგრამ ვეცადე, მდგომარეობიდან გამომეყვანა: „ასე წავიდა ჩვენი საქმე, ბატონო შალვა... რა უნდოდათ, ვცხოვრობდით ჩვენთვის ძაღლუმადურად, საჭმელი მაინც გვქონდა...“ უფროს კოლეგას, ღვაწლმოსილ ჟურნალისტს შალვა სანდომაძეს დახლი მოუწყვია, ზედ წიგნები დაულაგებია კოხტად, ერთმანეთის მიყოლებით და მოთმინებით ელოდება მუშტარს. „რას იზამ, ჩემო კარგო... იყო დრო, მე რომ მივლინებით ჩავიდოდი რომელიმე რაიონში, რაიკომის მდივანი შავი „ვოლგით“ მასეირნებდა ზევით-ქვევით – ემანდ, კრიტიკული არაფერი დაწეროსო და, როგორ ეცა პატივი, აღარ იცოდა... ეეეეე... დრონი მეფობენ... ახლა, ალიონზე გამოვდივარ სახლიდან, შვილიშვილებმა რომ არ შემამჩნიონ. ნაშუაღამევს ჩამიწყობს ცოლი ჩანთაში ამ სიმწრით ნაყიდ წიგნებს და დილა-ბნელზე გამომისტუმრებს ქუჩაში... რა ვქნათ, – არც ბიჭი მუშაობს, არც რძალი... ვდგავარ ასე მთელი დღე, მაგრამ ვის უნდა შენი წიგნი, ანდა, ვის აქვს ამის ფული...“

ამ ზაფხულსაც ვამჩნევდი დახლთან უფროს კოლეგას, მგონი, „შეჩვეოდა“ საქმეს, გვერდით მდგომ ათასი წვრილმანით მოვაჭრეებსაც გაშინაურებოდა, თეთრი ფაფანაკი ეხურა, კვირიკობისთვის ხვატისგან იცავდა თავს.

გუშინწინაც შევამჩნიეთ ერთმანეთი. უკვე ხელის აწევით მომესალმა.

მაყურებელი დავუბრუნოთ კინოს? – ზღაპარია!

– ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ იდეების გენერატორები ვართ, ქართველები იდეებით დატვირთულები ვართ! რას არ მოვიგონებთ!.. მაგალითად, გუშინწინ ტელევიზიაში იყო სიუჟეტი – ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲐᲖᲠᲔᲗᲐ ᲔᲠᲗ ᲯᲒᲣᲤᲡ ᲒᲐᲜᲣᲖᲠᲐᲮᲐᲕᲡ – ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲝᲡ ᲙᲘᲜᲝᲡ! ეს ძირითადად ეხება პერიფერიებს, ყველა სოფელში, თუ არ არსებობს, უნდა აშენდეს კინოთეატრი, სადაც უჩვენებენ ხოლმე საინტერესო კინოფილმებს. კეთილი და პატიოსანი, მაგას რა სჯობს, მაგრამ დღევანდელობის ფაქტორი თუ გაითვალისწინეთ, მეგობრებო?! ბილეთის ფასი თუ გაითვალისწინეთ?! თბილისში მაგალითად, ბილეთი ათ ლარამდე ღირს. კარგით, ღმერთმა ქნას, გაგვიჩნდეს ამდენი ფული, არ დაგვენანოს, მაგრამ ჩვენს ბინებში გაჩახჩახებულ ტელეარხებს, ინტერნეტებს, „ფეისბუქებს“, ათასნაირ შოუს, დიდ-პატარა რომ დღედაღამ მიჩერებია და გულიანად ერთობა, როგორღა ამარცხებთ?!.

განზრახვა კეთილია, მაგრამ ზღაპარს უფრო ჰგავს მისი აღსრულება.

ჩვენ, 21-ე საუკუნის მოქალაქეებს ხომ კინოც სახლში გვაქვს, თეატრიც, ცირკიც, ფეხბურთიც, კალათბურთიც და სხვა ათასი რამ, რასაც ათეულობით ტელეარხი უჩვენებს დღედაღამ! კი, ბატონო, თუ მოსპობთ ამას ყველაფერს (რაც წარმოუდგენელია), მერე, სხვა რა გამოსავალი იქნება, შეიძლება შებრუნდეს კინოთეატრისკენ მაყურებელი!

ᲰᲐᲘ, ᲰᲐᲘ, რომ სამწუხაროა ეს ყოველივე, მაგრამ ფაქტია, ტექნოლოგიებმა დაგვიპყრეს, ბატონებო. მეტ-ნაკლებად ასეა ყველგან – მსოფლიოს სიგრძე განედზე... იმ დღეს სწორედ ტელევიზიით მოვისმინე, რომ კინო უკვე კარგავს ჭეშმარიტი ხელოვნების სიმაღლეს და თანდათან გასართობ სანახაობად გვევლინება, რათა როგორმე თავისკენ „გადაქაჩოს“ ტელეეკრანთან მიყუჟული მაყურებელი. ასეა ყველგან, ასეა საქართველოშიც. მაგალითად, მაყურებელი, რომელიც „გულისფანცქალით“ ელოდება, ან ნანუკა ჟორჟოლიანის, ან მაია ასათიანის „ჭორბიუროდან“ წამოსულ ცხელ-ცხელ ამბებს, თქვენ მოგინდომებიათ კინოთეატრისკენ მიაბრუნოთ?.. მე, პირადად, ზღაპარი მგონია...

ბრძენი კაცის შვილი

ᲕᲡᲮᲔᲓᲕᲐᲠᲗ, „ᲛᲝᲐᲛᲑᲔᲡ“ შევყურებთ, აი, გამოდის ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ – საქართველოს პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების საკითხებში.

გვიზიარებს ბატონი ზურაბი გრიგორი კარასინთან მოლაპარაკების პერიპეტიებს, საუბრობს დალაგებულად, გონივრულად, წონის ყოველ სიტყვას.

– ერთი მითხარით, თუ ძმა ხარ, რატომ არ შეიძლება, მაგალითად, აი, ეს კაცი, შესანიშნავი დიპლომატი, პატრიოტი და ოჯახიშვილი, „იქაჩებოდეს“ საქართველოს პრეზიდენტობაზე? – გვეუბნება გია.

– მაგი, ბიძია, ირაკლი აბაშიძის, ბრძენი კაცის შვილია, დაგავიწყდა?! – პასუხობს ოთარი და ამით ყველაფერია ნათქვამი.

ᲕᲘᲚᲔᲜ ᲛᲐᲠᲓᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბუნებრივი რესურსების სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35
3	ელ-ფოსტა	Licenzlebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების მიზნით გაცემული ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არა უმეტეს 3 წლის ვადაში განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის რესურსის შესწავლა, ხოლო არაუგვიანეს შესწავლის ვადის ამოწურვისა კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დასამტკიცებლად წარადგინოს შესწავლის მასალები და სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცებასთანავე ლიცენზიის გაცემის დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); ბ) მარაგების დამტკიცების შემდეგ, ლიცენზიატი ვალდებულია, გადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ხოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ხოლო შეთავაზებული ფასი ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე; ზემოაღნიშნული თანხის გადახდის შემდეგ ლიცენზიანტი უფლებამოსილია, განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება; გ) სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების მიზნით გაცემული ლიცენზიის ფარგლებში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე სალიცენზიო საქმიანობა უნდა განხორციელდეს მხოლოდ მესაკუთრესთან შეთანხმებით; დ) მადანგამოვლინებაზე შესწავლა-მოპოვება უნდა განხორციელდეს მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრებით, სამთო საქმისათვის მიღებული უსაფრთხოების წესების დაცვით; ე) სალიცენზიო ობიექტზე წიაღისეულის დამუშავების დროს ფუჭი ქანი არ უნდა ჩაიყაროს არსებულ ღელეში; ვ) შესწავლისა და მოპოვების შემდგომ უნდა შედგეს ობიექტის მიწისქვეშა გამონამუშევრების გეგმები; ზ) წიაღით სარგებლობამ არ უნდა გამოიწვიოს ხე-ტყის დაჩეხვა (დაზიანება). თ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე გადადგილების უფლება; ი) სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის ნაპირიდან 300 მეტრის სიგანის ტერიტორიის გარეთ; კ) სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის მფლობელმა ლიცენზიის მიღების შემდეგ, სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების დაწყებამდე სახელმწიფო ტყის ფონდის სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის უფლების მისაღებად საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში უნდა წარადგინოს „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილების 27-ე მუხლით განსაზღვრული დოკუმენტაცია. ლ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლაფანყურის მიმდებარე ტერიტორიაზე „ბონკალა-ზეკის“ მადანგამოვლინების შესწავლა-მოპოვება
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლაფანყურის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	2 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 24 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 24 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 24 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 24 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	20 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გაძარცვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 1% კალენდარული დღის ვადაში

◎ ძიუდო

ჩემპიონიათა უხვი ნადავლი

ორი ოქრო, ამდენივე ვერცხლი და ერთი ბრინჯაო — ასეთი ნადავლით დაბრუნდნენ ქართველი სპორტსმენები სარაევოდან, სადაც ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის პირველობა გაიმართა. შეჯიბრებაზე კი ნაკრების მთავარ მწვრთნელ გია გუგავას 10 შეგირდი ჰყავდა წაყვანილი, თანაც რისკზე წავიდა — 55-სა და 66 კილოში არავის უხმო. სამაგიეროდ, მძიმეწონოსნებმა გაუმართლეს.

90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჭაბუკებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა, ხოლო ახალგაზრდებში ევროპის ვერცხლისა და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორმა ბექა ღვინიაშვილმა ხუთი შეხვედრა მოიგო იპონით — მეოთხედფინალში პორტუგალიელ ცელიო დიასს აჯობა, ნახევარფინალში ჰოლანდიელ მაქს დე ვრეეზი გააკრა ტატამს ბეჭებით, ხოლო მისი თანამემამულე მიხაელ კორელი გადამწყვეტ პაექრობაში შებოჭა და ოქროს მედალი მოიპოვა.

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა გურამ თუშიშვილი (100 კგ), რომელმაც ფრანგ ნაბილ მაჩტროსს აჯობა. ჯერ ვაზარი აართვა მეტოქეს, თუმცა მალევე ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა მიეცა. გონგამდე ცოტა ხნით ადრე მაინც იყოჩაღა თუშიშვილმა — ლამაზი ქართული ბრუნით სუფთა გამარჯვება მოიპოვა.

მსგავს დებატებამდე ცოტა დააკლდა ლევან გუგავას (73 კგ). ფინალამდე მან ოთხ მეტოქეს სძლია, გადამწყვეტი პაექრობა კი საბერძნეთის სახელით მოჭიდავე რომან მასტროპულისთან დათმო. ეს უკანასკნელი კი საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელის — გიორგი რევაზიშვილის ვაჟია. გუგავას ვერცხლის მედალი ერგო. ასევე, მეორე ადგილზე გავიდა ლევან მატიაშვილი (მძიმე წონა), რომელიც შარშანდელი ევროპის პირველობის გამარჯვებულია. ჩემპიონის ტიტული ანტონ კრიბოკოვთან (რუსეთი) ერთი იუკოთი დათმო. ამავე წონაში მესამე იყო გიორგი ზაქარიაძე.

საქართველოს ნაკრებმა, რომელსაც შეჯიბრებაზე გოგონები არ ჰყავდა, საერთო გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავა (რუსებმა ჩვენებს გოგონების ხარჯზე გაუსწრეს), ვაუებში კი პირველობა არავის დაუთმო.

ლექსო ცინცაძე

◎ ჩოგბურთი

ანა ამერიკაში მეორეა

აბლუკერში (აშშ) დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 75.000 დოლარი), რომელშიც წარმატებით იასპარეზა თბილისელმა ანა ტატიშვილმა. ერთეულთა თანრიგის პირველ წრეში მან ასპარეზობის მე-4 ნომერი მარია სანჩესი (აშშ) დაამარცხა. შემდეგ ტამირა პაშეკი (ავსტრია) და კოკო ვანდეეგე (აშშ) ჩამოიშორა გზიდან. ყველაზე ძნელი ორთაბრძოლა ტურნირის რეიტინგფავორიტ ალი სონ რისკესთან (აშშ) გადაიტანა: მართალია, პირველი სეტი 3:6 დათმო, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ორი ხელი აართვა მეტოქეს ერთნაირი ანგარიშით — 7:5, 7:5 და ფინალში გავიდა. იქ კი სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია ამერიკელ შელბი როჯერსს — ორივე სეტი დათმო — 2:6, 3:6 და მეორე ადგილს დაყაბულდა.

ტატიშვილი ოკეანისგაღმელ ირინა ფალკონისთან ერთად წყვილებშიც გამოდიოდა, სადაც პირველ ნომრად იყო განთესილი. ქართულ-ამერიკული დუეტი ნახევარფინალში მელანი უიდინმა და ტეილორ თოუსენდმა (ორივე — აშშ) შეაჩერეს — 4:6, 6:2, 11:9.

გიორგი გაგუა

◎ ფეხბურთი

აქეთურ-იქითური

XXV ეროვნული ჩემპიონატი; VI ტური. „ვიტ ჯორჯია“ — „დინამო“ 0:2, „ჩიხურა“ — „დილა“ 3:1, „მერანი“ — „სიონი“ 2:0, „გურია“ — „მეტალურგი“ 3:1, „ცხინვალი“ — „ზესტაფონი“ 1:0, „ბაია“ — „ტორპედო“ 0:0.

სატურნირო მდგომარეობა: „დინამო“ — 13, „მერანი“, „ტორპედო“, „ჩიხურა“ — 12-12, „გურია“ — 9, „ვიტ ჯორჯია“, „მეტალურგი“, „დილა“ — 8-8, „სიონი“ — 7, „ბაია“ — 5, „ზესტაფონი“ — 4, „ცხინვალი“ — 3 ქულა.

VII ტურში დიდ ინტერესს იწვევს თბილისის „დინამოსა“ და მარტვილის „მერანის“ მატჩი, რომელიც დედაქალაქში 29 სექტემბერს გაიმართება.

* * *

იტალია. „მილანი“ — „ნაპოლი“ 1:2, „რომა“ — „ლაციო“ 2:0, „ატალანტა“ — „ფიორენტინა“ 0:2, „იუვენტუსი“ — „ვერონა“ 2:1, „სასუოლო“ — „ინტერი“ 0:7.

ესპანეთი. „რაიო ვალეკანო“ — „ბარსელონა“ 0:4, „რეალი“ — „ხეტაფე“ 4:1.

ინგლისი: „სიტი“ — „მანჩესტერი“ 4:1, „ჩელსი“ — „ფულჰემი“ 2:0, „ლივერპული“ — „საუთჰემპტონი“ 0:1, „არსენალი“ — „სტოკ სიტი“ 3:1.

გერმანია. „შალკე“ — „ბაიერნი“ 0:4, „ნიუნბერგი“ — „ბორუსია“ 1:1.

პოლანდია. „ეინდჰოვენი“ — „აიაქსი“ 4:0.

საფრანგეთი. „პარი სენ-ჟერმენი“ — „მონაკო“ 1:1.

გიორგი შოთაძე

◎ კალათბურთი

პარკერმა „მარსელიოზა“ დაგუგუნა

ევროპის ჩემპიონთა გალერეას საფრანგეთიც შეემატა. დიახ, „სამფეროვნებმა“ მესამე ცდით დაიპყრეს კონტინენტის საკალათბურთო მწვერვალი. ისინი მიზანთან 1949 და 2011 წლებშიც იყვნენ, მაგრამ მაშინ ფინალური ბრძოლები ჯერ ეგვიპტელებთან(!), ხოლო შემდეგ ესპანელებთან დათმეს.

მართალია, ვინსენტ კოლეს გუნდი სლოვენიაში დასრულებული ფორუმის ჯგუფურ რაუნდში სამჯერ დამარცხდა — გერმანიასთან, სერბეთთან და ლიტვასთან, მაგრამ გათამაშების ფორმულამ მათ საშუალება მისცა დამატებითი სიჩქარეები პლეი-ოფებში ჩაერთოთ, რაც გენიალური გამთამაშებლის ტონი პარკერის ძალისხმევით ტრიუმფით დაგვირგვინდა.

აღსანიშნავია, რომ ფრანგებმა სატიტულო შეხვედრაში რევანში სწორედ ბალტიისპირელებთან აიღეს — 80:66, სადაც კლეიზა და კალნიეტისი ბრწყინავდნენ, თანაც გადამწყვეტ უპირატესობას მაშინ მიაღწიეს, როცა II პერიოდში კაზლაუსკასმა თავისი ნაკრების ლიდერები დაასვენა.

რაც შეეხება პარკერს, მან ამჯერად პარტნიორთა მესაჭეობა ბატუმს (17 ქულა) გადაულოცა, თვითონ კი დაუვიწყარი შეხვედრა ნახევარფინალში მსოფილოს მოქმედ ჩემპიონ ესპანეთთან ჩაატარა, როდესაც პრაქტიკულად მარტო ეომა მომავალი მუნდიალის მასპინძელს, 14-ქულიანი დეფიციტი ამოუქაჩა და დამატებით დროში დააჩოქა კიდეც — 75:72.

ბუნებრივია, „სან-ანტონიოს“ სუპერვარსკვლავი დამსახურებულად დასახელდა ტურნირის უძვირფასეს მოთამაშედ, „ევრობასკეტ — 2013“-ის სიმბოლური ხუთეული კი ასე გამოიყურება: პარკერი (საფრანგეთი), დრაგიჩი (სლოვენია), კლეიზა (ლიტვა), ბოგდანოვიჩი (ხორვატეთი) და გაზოლი (ესპანეთი).

დავძენთ, რომ ბრინჯაოს მედლები აწ უკვე ძველი სამყაროს ექს-ჩემპიონმა ესპანელებმა ხორვატთა ძლევით მოიპოვეს — 92:66, ხოლო უძლიერესთა კვარტეტთან ერთად გაისად მსოფლიოს ჩემპიონატზე სლოვენია და უკრაინა იასპარეზებენ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ თავსატეხი

ტაქსისტების პროტესტი ბრაზილიაში

ბრაზილიაში გასამართ მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატამდე ჯერ საკმაოდ დიდი დროა დარჩენილი, მაგრამ მუნდიალისათვის სამზადისი ბრაზილიის სახელმწიფოს ხშირ შემთხვევაში დიდ თავსატეხად უკვე უჯდება.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბრაზილიელი ტაქსისტები მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყების დღესვე დიდ გაფიცვასა და საპროტესტო აქციის მოწყობას აპირებენ. ტაქსისტებმა მათზე დაწესებული მაღალი გადასახადები უნდა გააპროტესტონ და თან ისეთ დღეს, როდესაც მათი თავი ქვეყანას ყველაზე მეტად სჭირდება.

ბრაზილიელი ტაქსისტები თავიანთი ქართველი კოლეგების მსგავსად არიან თუ არა „ორი დიპლომის“ მფლობელნი, ეს არ ვიცით, მაგრამ საკუთარი უფლებების დაცვა კარგა გემრიელად რომ სცოდნიათ, ეს ფაქტია.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ინტერნეტიდან

ვანესა მეიმ ოლიმპიადაზე მონაწილეობა გადაიფიქრა

როგორც იცით, ცოტა ხნის წინათ, ცნობილმა მევიოლინემ ვანესა მეიმ სრული სერიოზულობით განაცხადა, რომ მისი მშობლიური ქვეყნის, ტაილანდის სახელით, სოჭში გასამართ 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადაში აპირებს მონაწილეობას.

ვანესას გიგანტურ სლალომში საკმაოდ კარგი შედეგები აქვს და ოლიმპიადაზე მონაწილეობის ამბიცია, შეიძლება, ამიტომაც გაუჩნდა. თუმცა ახლა ადრე ნათქვამი გადათქვა და განაცხადა, რომ ოლიმპიადაზე მონაწილეობასთან დაკავშირებით იხუმრა და სოჭში, შესაძლებელია, მაყურებლის რანგშიც ვერ ჩავიდეს.

ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ამ ამბავთან დაკავშირებით წერს, რომ ვანესამ ოლიმპიადაზე მონაწილეობა მას შემდეგ გადათქვა, როდესაც ერთ-ერთმა საპროდიუსერო კომპანიამ შეერთებულ შტატებში გრანდიოზული ტურნეს გამართვა შესთავაზა. ფული ჯოჯოხეთს თუ არა, საკონცერტო დარბაზის სცენას, ალბათ, მართლაც ანათებს!

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ჩვენი კარაბადინი

10 მებრძოლი ტკივილთან

„წამლები“, რომლებიც ყოველთვის ხელთა გვაქვს

ნუ იჩქარებთ წამლებზე წასვლას, რომ დაიბრუნოთ ჯანმრთელობა და კარგი განწყობილება. საუკეთესო ტკივილგამაყუჩებელს საკუთარ მაცივარში ნახავთ.

ალუბალი თავის ტკივილის წინააღმდეგ

ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სულ ცოტა ერთ ქალს ოთხიდან აწუხებს ართრიტი, ნიკრისის ქარი ან ქრონიკული თავის ტკივილი. უბრალოდ მოიმარაგეთ ალუბალი! მკვლევრებმა მიჩიგანის შტატიდან გამოარკვიეს, რომ ამ ხილის 200 გრამის ყოველდღიურად მიღება ამსუბუქებს თავის ტკივილს –კუჭისთვის რაიმე ზიანის მიუყენებლად. ხომ ყველასთვის ცნობილია, რომ „კუჭნაწლავური უსიამოვნებანი“ შეიძლება გაჩნდეს გამაუმტკივნებლების მიღების შემდეგ, რომლებიც „ნთქავენ“ კუჭის ლორწოვანს. თურმე, ნივთიერებებს, რომლებიც ალუბალს კაშკაშა წითელ ფერს აძლევს – ანტიციანებს, აქვთ ანთებისსაწინააღმდეგო ეფექტი. თავისი ძალით იგი აჭარბებს იბუპროფენის ეფექტს 10-ჯერ! მიირთვით ახალი, გაყინული და გამხმარი ალუბალი და ტკივილი გაქრება.

იოგურტი წინამენსტრუალური სინდრომის წინააღმდეგ

იელის უნივერსიტეტის მკვლევარებმა გამოიანგარიშეს, რომ ქალების 80-მდე პროცენტს აწუხებს წინამენსტრუალური სინდრომი. ამის მიზეზი არის ნერვული სისტემის მგრძნობელობა პროგესტერონისა და ესტროგენის დონის სტომებისადმი. თვეში ერთხელ ამ ჰორმონებს შეუძლიათ შესანიშნავი სქესის წარმომადგენელთა ცხოვრება გახადონ აუტანელი. დღეში დაახლოებით 400 გრამი იოგურტი დაგვეხმარება შევამსუბუქოთ ეს სიმპტომები. ნატურალური იოგურტი მდიდარია კალციუმითა და მინერალებით, რომლებიც ბუნებრივად ხსნიან ნერვიულობასა და გაღიზიანებას და თავიდან გვაშორებენ ავადმყოფურ სიმპტომებს.

კოჭა კუნთების ტკივილის წინააღმდეგ

დანიელმა მეცნიერებმა სთხოვეს იმათ, ვისაც კუნთების ტკივილები აწუხებთ, გაიმრავალფეროვანონ საკვები კოჭის (ჯანჯაფილის) კერძებით. ორი თვის განმავლობაში საცდელთა 63 პროცენტს გაუარა სახსრების, კუნთების ტკივილმა და შეშუპებამ. ამ დამსახურებას ექსპერტები მიაწერენ კოჭაში შემავალ ნივთიერება ჰინგეროლს, რომელიც ტკივილის გაჩენას უწევს წინააღმდეგობას. ყოველდღიურად შეგიძლიათ მიიღოთ ერთი ჩაის კოვზი მშრალი ან ორი კოვზი გახეხილი ახალი კოჭა.

მიხაკი ღრძილების ანთების წინააღმდეგ

ვერ ასწრებთ, მოხვდეთ სტომატოლოგთან მიღებაზე? აიღეთ ერთი მიხაკი და დაღეჭეთ. კბილის ტკივილი გაგივლით და მოგეხსნებათ ღრძილების ანთება. ორი საათის განმავლობაში იგრძნობთ შვებას. ეს სანელებელი ხომ ევგენოლის ძლიერ სასიამოვნო ანესტეტიკს შეიცავს. სხვათა შორის, საკვებს დამატებული დანაყილი მიხაკის ერთმა მეოთხედმა ჩაის კოვზმა შეიძლება მოახდინოს შაქრისა და ქოლესტერინის დონის სტაბილიზება სისხლში.

დაიმშვიდეთ ფეხები მარილით

ჩაზრდილი ფრჩხილები – ბევრისთვის ნაცნობი პრობლემაა. იგი ინფექციების განვითარებით გვემუქრება, განსაკუთრებით წლის ბოლო დროს. მარილიანი წყლის რეგულარი თბილი აბაზანები დაგვიცავს უსიამოვნო შეგრძნებებისგან 4 დღეში. ისინი იწვევენ ანტიბაქტერიულ ეფექტს და ხსნიან ანთებას. ერთი ჩაის კოვზი მარილი გახსენით ერთ ჭიქა თბილ წყალში და უბრალოდ ჩაყავით ფეხი აბაზანაში 20 წუთით.

ნიორი ჯანსაღი ყურებისთვის

ტკივილები ყურებში ყველაზე ხშირად გამოწვეულია ინფექციებით. სცადეთ, ძვირი წამლების ნაცვლად გამოიყენოთ ნივრის თბილი ზეთი – მისი მხოლოდ ორი წვეთი დაგვეხმარება თავიდან ავიცილოთ ეს სენი. გამოიყენეთ იგი ორჯერ დღეში 5 დღე-ღამის განმავლობაში. ექსპერტები ნიუ-მეხიკოს უნივერსიტეტიდან დარწმუნებული არიან, რომ ამგვარი მარტივი ხერხი დაგვეხმარება, თავიდან ავიცილოთ ინფექცია უფრო სწრაფად, ვიდრე სპრეი აფთიაქიდან. ნივრის აქტიური ინგრედიენტები– გერმანიუმი, სელენი და გოგირდი – დამღუპველია ათობით სხვადასხვა ბაქტერიისთვის. ორი წუთის განმავლობაში ადუღეთ ნახევარი ჭიქა ზეითუნის ზეთი და სამი დაქუცმაცებული ნივრის კბილი. გაწურეთ და გააცივეთ.

კურკუმა მოთოკავს ქრონიკულ ტკივილს

გასაოცარია, მაგრამ კურკუმას შეუძლია სამჯერ უფრო ეფექტიანად გაუმკლავდეს ქრონიკულ ყრუ ტკივილს, ვიდრე ასპირინი და იბუპროფენი. კორნელის სანელებელში არსებული კურკუმინი თრგუნავს ტკივილს ართრიტისა და ფიბრომიალგიის დროს. ერთი მეოთხედი ჩაის კოვზი კურკუმა დაუმატეთ ბრინჯის, ფრინველის ან ბოსტნეულის კერძს.

ანანასი გაბერილობის წინააღმდეგ

გაწუხებთ გაზები? მუცლის მტკივნეულ გამობერვას თავიდან აგვაცილებს თითო ჭიქა ახალი ანანასის წვენი სამი დღე-ღამის განმავლობაში, გვარწმუნებენ კალიფორნიის სტენფორდის„ნათელი თავები“. ანანასის რბილობი შეიცავს პროტეოლიტურ ფერმენტებს. ეს ნივთიერებანი აჩქარებენ იმ ცილების გადამუშავებას, რომლებიც გვაყენებენ ტკივილს კუჭსა და თხელ ნაწლავში.

შვრიის ფაფა ძალბატონებისთვის

შვრიის ფაფის ყოველდღიური ულუფა არა მხოლოდ აწესრიგებს კუჭის მოქმედებას, არამედ იცავს ქალებს ტკივილისგან, ენდომეტრიოზი რომ იწვევს. სენი ჩნდება, როდესაც საშვილოსნოს ნერწყვოვანი გარსის უჯრედები იზრდება, გამოდის ამ ფენის გარეთ. ეს მიგრანტი უჯრედები იწვევს სერიოზულ ანთებას, კრუნჩხვებს მენსტრუაციის დროს. დღეში სულ ერთი თეფში შვრიის ფაფა ამცირებს ტკივილს.

თევზი აშოშმინებს მუცელს

კუჭის აშლილობა, გაღიზიანებული კუჭ-ნაწლავის სინდრომი– რამდენად ხშირად გაწუხებთ ამგვარი რამე? წამება რომ შევამსუბუქოთ, უბრალოდ თქვენს რაციონში ჩართეთ 500 გრამი თევზი. იგი შეიცავს უჯერ ცხიმოვან მჟავებს, რომლებიც ამცირებენ კუჭ-ნაწლავის ანთებას, სპაზმებსა და ტკივილებს მუცელში. აფთიაქის წამლების ნაცვლად თავი შეიყოლიეთ ორაგულით, სარდინით და ყველასთვის საყვარელი ქაშაყით. ზოგჯერ მათ მეტი შვება მოაქვთ, ვიდრე წამლებს.

ეკატე

საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, დიდებული პიროვნება

დავით შოთას ძე ორჯონიკიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. გამოსვენება ქ. თბილისი, ს. ჭიაურელის ქ. №16, 24/IX, 14 სთ.

◎ ინფორმაცია

დააკავეს ტრეფიკინგის ფაქტზე

სამართალდამცავებმა ტრეფიკინგის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან აცნობეს, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მე-2 მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლების მიერ ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დაკავებულია 1983 წელს დაბადებული დავით თ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მიმდინარე წლის ივლისში დავით თ-მ 1993 წელს დაბადებული თ.ა. ოჯახისთვის ზიანის მიყენების მუქარით ყვარლიდან თბილისში ჩამოიყვანა, პირადობის მოწმობა და ტელეფონი გამოართვა და განუცხადა, რომ მას მამაკაცებისათვის სექსუალური მომსახურება უნდა გაეწია, რაზეც უარი მიიღო. შსს-ს ინფორმაციით, ამის შემდეგ დავით თ-მ თ.ა-ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, შეუზღუდა თავისუფლად გადაადგილების უფლება და მუდმივი მუქარის ქვეშ აიძულებდა ბარ „თენექ“-ში მამაკაცებისთვის სექსუალური მომსახურება გაეწია, ხოლო მათ მიერ გადახდილ თანხას მთლიანად ითვისებდა.

გამოძიება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტზე მიმდინარეობს.

ინტერპრესი

◎ გერონტოლოგია

ახალგაზრდობის დიეტა

შარშან, წლის მიწურულს, ბრიუსელში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ექსპერტი შეიკრიბა „აქტიური დღეგრძელობის წამლის“ შექმნის მიმდინარეობის განსახილველად, აგრეთვე იმის თაობაზე სამსჯელად, თუ რის გაკეთებაა შესაძლებელი ამჟამად ახალგაზრდობის გასახანგრძლივებლად.

მეცნიერთა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ორგანიზმის დაბერების „დამუხრუჭება“ კვების კალორიულობის შეზღუდვით შეიძლება. როცა ორგანიზმის უჯრედები ნაკლებ მკვებავ ნივთიერებას იღებენ, მაშინ მათი ზრდა და დაყოფა ნელდება, რაც კარგია, რადგან ადამიანი სქესობრივ მოწიფულობას რომ მიაღწევს, უჯრედების შემდგომი დაყოფა დაბერებას აჩქარებს და, შესაძლოა, კიბოს განვითარება და სხვა ნეგატიური მოვლენები გამოიწვიოს.

ამავე დროს **აღმოჩნდა, რომ უჯრედები, რომლებიც ზრდასა და დაყოფაზე „ზოგავენ“, გაცილებით აქტიურად იცილებენ უვარგის კომპონენტებს, „თვითშეკეთებას“ იწყებენ, რაც თავის მხრივ, ახალგაზრდობის შენარჩუნების გზაა.**

აქედან გამომდინარე შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ გასახდომად გამოსადეგი დიეტა ახალგაზრდობის შენარჩუნებაში დაგვეხმარება, მაგრამ ყველაფერი ასე ცალსახად როდია. მართალია საკვების კალორიულობის შეზღუდვის ეფექტიანობა ბუზების, ჭიებისა და თაგვების მაგალითზე ცდებით დადასტურდა, რომლებმაც თავიანთ „ჩასუქებულ“ თანამოძმეებზე 1,7-ჯერ უფრო დიდხანს იცოცხლეს, მაგრამ პრიმატ მაიმუნებზე ჩატარებული ცდები ამ მხრივ ჩავარდა.

საკვების კალორიულობა მაიმუნებს პირველ რიგში ტკბილეულის ხარჯზე შეუკვეცეს. როცა მსგავსი ცდები თაგვებზე ჩაატარეს, მაშინ მარტო შაქრის შემცირების შედეგად სიცოცხლე უმნიშვნელოდ გახანგრძლივდა, მაგრამ როცა საკვებში ერთ-ერთი ცილის, კერძოდ მეტიონინის ამინომჟავის ოდენობა შეამცირეს, რომელიც ორგანიზმში ახალი უჯრედების მშენებლობის რესურსს წარმოადგენს, სიცოცხლე ბებერ თაგვებსაც გაუხანგრძლივდათ. **აქედან გამომდინარეობს დაბერების შენელების დაბალმეტიონინური დიეტის თეორია, რომლის თანახმად მნიშვნელობა აქვს არა მარტო პროდუქტების კალორიულობას, არამედ მათ ქიმიურ შემადგენლობასაც: ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად, ანდა, სულაც, გასაახალგაზრდავებლად, ხანდაზმულ ასაკში საჭიროა ორგანიზმმა რაც შეიძლება ნაკლები გარკვეული ნივთიერება მიიღოს.**

ადამიანებისთვის დაბერების მასტიმულირებელ პროდუქტთა თაობაზე ჯერჯერობით ერთიანი აზრი არ არსებობს, მაგრამ ბევრი მეცნიერი ცერად უცქერის... **წითელ ხორცს.** საქმე ისაა, რომ მასში დიდი რაოდენობითაა ზემონახსენები მეტიონინური ამინომჟავა და, ექსპერტთა აზრით, ორგანიზმში მისი ოდენობის შემცირება ახალგაზრდობის გახანგრძლივებაში დაგვეხმარება.

ეს, ცხადია, იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მწვადსა თუ კატლეტზე საერთოდ უარი ვთქვათ – ზომიერი დოზით მეტიონინი ორგანიზმისთვის საჭიროა, ამიტომ ყველაზე მკაცრი გერონტოლოგებიც კი არ არიან იმის წინააღმდეგი, რომ საქონლის ან ღორის ხორცი კაცმა კვირაში ერთხელ მიირთვას (თუმცა კი ხანდაზმულ ასაკში უფრო იშვიათად).

არც შაქრის მოხმარების შეზღუდვა გაუუქმებია ვინმეს – დამტკიცებულია: რაციონში ტკბილეულის შემცირებისას დიაბეტის გარდა, ასევე გაცილებით იშვიათად ვითარდება ონკოლოგიური და გულის სისხლძარღვთა დაავადებები!

არც ამჟამად გერონტოლოგები ისეთ საშუალებათა გამოძებნას ცდილობენ, რომლებიც სიბერის დადგომის გადაწევის შესაძლებლობას უმოწყალო დიეტების გამოუყენებლად მოგვცემდნენ.

ერთ-ერთ ასეთ პერსპექტიულ პრეპარატად მეტაფორმინი ითვლება, რომელიც ქიმიოთერაპიასთან კომპლექსში სიმსივნეთა ზრდის შენელების მხრივ ფანტასტიკურ შედეგს იძლევა, რაც ცხოველებზე დაყენებულმა ცდებმა დაადასტურეს.

თამარ გოგიაშვილი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ვიწვევთ აშშ (ნიუჯერსის შტატში) სამუშაოდ (ან კვალიფიკაციის ასამაღლებლად) (23-30 წ.) დაუოჯახებელ, კარგი გარეგნობის, საშუალო ან საშუალოზე მაღალ გოგონას მშობლებთან გასაუბრებით. 28 ოქტომბრამდე.

საკონტაქტო ტ: 2-23-28-15
მობ. ტ. 599 96-54-47
აშშ-ს ტელ. (მუდმივი) 973 527 45 79.

ლამზირა, გიორგი.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

დაიჯესტი

შეუნდეთ და ნუ იდარდებთ

არ უნდა იყოს ძნელი დასაჯერებელი სან-დიეგოს კალიფორნიის უნივერსიტეტის სპეციალისტთა აზრი იმის თაობაზე, რომ გადატანილი წყენები გულებს გვიმსხვრევს ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ცუდის დავიწყების უუნარობა, თურმე, გულზე ნეგატიურად მოქმედებს, რადგან წნევის პროვოცირებას ახდენს, რასაც ჰიპერტონია და ინსულტის რისკის ზრდა მოყვება.

ექსპერიმენტში 200 მოხალისე მონაწილეობდა, რომლებსაც წარსულის გარკვეული ეპიზოდების გახსენებასა და იმის ხელახლა განცდას სთხოვდნენ, როცა მათ უსამართლოდ აწყენინეს. მერე მეცნიერები მოხალისეების ყურადღებას სხვა რამეზე გადაიტანდნენ, შემდეგ კი კვლავ წყენას ახსენებდნენ. ისინი, ვინც თავის მწყენინებლებს აპატიეს, მოგონებებზე მშვიდად რეაგირებდნენ, რაც გულისცემისა და წნევის აღნუმსხველმა აპარატებმა დააფიქსირეს. მათ კი, ვინც წყენის პატიება ვერ შეძლო, გულისცემის აჩქარება და წნევის მომატება დაუდგინდათ.

არტერიული წნევის მომატება მაინცდამაინც სახიფათო არ არის, მაგრამ თუ იგი გამუდმებით მაღალია, ამ დროს გულის დაავადებათა საფრთხე მნიშვნელოვნად მატულობს.

ალერგიკის ბედნიერება

ალერგია გლაუკომის განვითარების ალბათობას ამცირებს, რომელიც თავის ტვინის პირველადი სიმსივნის ყველაზე გავრცელებული ფორმაა, აცხადებენ ოჰაიოს (აშშ) უნივერსიტეტის მკვლევრები.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ადამიანებს, ვისაც სისხლში ალერგიული რეაქციის დროს გამომუშავებული ანტისხეულები აქვთ, სხვებთან შედარებით გლაუკომით დაავადების ორჯერ ნაკლები საფრთხე ემუქრებათ. როგორც ჩანს, ალერგია, რომელიც ორგანიზმის მთელ იმუნურ სისტემას, რომ იტყვიან, „თავდაყირა აყენებს“ სრულიად უწყინარი ცილების გამო, რომლებიც მასში ხვდება. ონკოლოგიურ დაავადებებთან საბრძოლველად ორგანიზმის მთელი ძალების მობილიზებას ახდენს.

განსაკუთრებით მკაფიოდ ეს პროცესი ქალებში ვლინდება: მათ, ვინც ალერგიულია, თავის ტვინის სიმსივნის განვითარების შანსი ორჯერ უფრო ნაკლები აქვთ. მამაკაცებში კი ასეთი კავშირი ჯერჯერობით დაუდგენელია.

ვირუსები ბაქტერიების წინააღმდეგ

ვირუსის ცილა შესაძლოა მრავალი სერიოზული დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალება გახდეს — ეს მერლბურნის მონაშას, როკფელერისა და მერილენდის შტატის უნივერსიტეტების მეცნიერებმა დაადგინეს.



სპეციალისტებმა, რომლებიც ბაქტერიის ვირუსის (ბაქტერიოფაგის) Plyc-ის ცილის სტრუქტურას იკვლევდნენ, დაადგინეს, რომ იგი პნევმონიის, ანგინისა და ბევრი სხვა ავადმყოფობის გამომწვევ ბაქტერიას ანადგურებს.

ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ჩნდება ანტიბიოტიკებისადმი მდგრადი ბაქტერიების შტამები. მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ვირუსის ცილის ატომური სტრუქტურის გამოკვლევა იმის დადგენაში დაეხმარებათ, თუ როგორ უტევს კონკრეტულად ვირუსი ბაქტერიას. ამის შემდეგ ფარმაცევტებს ახალი თაობის წამლების შექმნის შესაძლებლობა გაუჩნდებათ.

ნუ იჩქარებთ!

სექსუალური ურთიერთობა პირველსავე პაემანზე ხანგრძლივ ურთიერთობას ხელს უშლის, დაადგინეს ამერიკის შეერთებული შტატების ბრიჰემ იანგის უნივერსიტეტის მკვლევრებმა, რომლებმაც 11 ათას უცოლო, მაგრამ მეგობარი ქალის მყოლ მამაკაცს თავიანთ სატრფოებთან ურთიერთობით კმაყოფილების შეფასების თხოვნით მიმართეს.

იმ წყვილებში, ვისაც ურთიერთობა სულ მცირე ერთი წელი აქვთ, პირველსავე პაემანზე სექსუალური ურთიერთობების მქონეთა რიცხვი გაცილებით ნაკლები იყო. ეს წყვილები ერთმანეთს ნაკლები სითბოთი და პატივისცემით ეპყრობოდნენ და უფრო დაბალ შეფასებას აძლევდნენ თავიანთ ურთიერთობათა სტაბილობას.

ადრე ჩატარებული კვლევის შედეგებმა უარყო მოარული აზრი იმის თაობაზე, თითქოსდა პირველ პაემანზე სექსის შესახებ უმეტესწილად მამაკაცები ფიქრობენ. მამაკაცთა თითქმის ნახევარი ერთხმად გაიძახოდა, რომ ნაკლებად დააინტერესებს ქალი, რომელიც პირველსავე პაემანზე მზად არის სექსუალური ურთიერთობების დასამყარებლად. აღსანიშნავია, რომ იგივე აზრი ქალების მხოლოდ 39 პროცენტმა გამოთქვა.

ჩვენი პრესდაიჯესტი

„ჭელის მინარეთი თუ დაანგრიეს, მაშინ სხვა მინარეთებიც უნდა დაანგრიონ“

— მიიჩნევს საქართველოს მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარე ტარიელ ნაკაიძე, — საქართველოს კანონმდებლობაში მინარეთის მშენებლობასთან დაკავშირებით კონკრეტული კანონი არ არსებობს, ამიტომ გამოდის, რომ ჩვენ ქვეყანაში არსებული ყველა მინარეთი და მეჩეთი უკანონოდაა აშენებული... თუმცა ჩვენ გაჩერებას არ ვაპირებთ, რადგან ჩვენც ამ ქვეყნის მოქალაქეები ვართ და იგივე უფლებები გვაქვს, რაც ქრისტიანებს. თუ ამას თვლიან უკანონოდ, მაშინ უკანონო მშენებლობად უნდა ჩაითვალოს ქრისტიანული ეკლესიის მშენებლობაც. ვგულისხმობ ბოლო პერიოდში აგებულ ეკლესიებს მაგალითად, სხალთის კომპლექსს. მის ნანგრევებზე ახალი გალავანი სრულიად უკანონოდ შენდება.

„რეზონანსი“

ლევან გაჩეჩილაძე „დაიცავი საქართველოს“ აცოცხლებს!

კოჰაბიტაცია ახალ ფაზაში შედის... მალე საქართველოში არასამთავრობოებისა და მოძრაობების ბუმი დაიწყება, ზოგი ახალი შეიქმნება, ზოგიც გაცოცხლდება... როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილს ამ სფეროშიც მოუწევს რაღაც-რაღაცების დალაგება. „სახალხო კრების“ წევრის ლაშა ამირეჯიბის თქმით, უკვე გადაწყვეტილია, რომ უახლოეს ხანში გაცოცხლდება ლევან გაჩეჩილაძის „დაიცავი საქართველო“.

„თავის დროზე ეს მოძრაობა შევქმენით მე, „გრეჩიხამ“, კორკოტამ, კოკა გუნცაძემ და სხვებმა... საპატიო თავმჯდომარე იყო მამაჩემი ჭაბუა ამირეჯიბი. იქ მაშინ ნონა გაფრინდაშვილიც იყო, რეზო ესაძეც, ჯანსუღ ჩარკვიანიც. არ დაგავიწყდეთ, „დაიცავი საქართველო“ ჭაბუას სლოგანია, მაგრამ რა მოხდა? ამ მოძრაობამ დაიძინა და საქართველოც ვერავინ ვერ დაიცვა.

„ძრონიკა“

„ბიძინა ივანიშვილის გუნდი პოლიტიკურად ცვედანი აღმოჩნდა“

— აცხადებს ყოფილი დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძე, — ბიძინა ივანიშვილი ნამდვილად ვეღარ იხიბლება, მსუბუქად რომ ვთქვათ, თავისი გარემოცვით. ყველას გვახსოვს, როგორ იხიბლებოდა კოალიციის ერთ-ერთი წევრით ვახტანგ ხმალაძით და ამბობდა, რომ ასეთი უნდა ყოფილიყო საპრეზიდენტო კანდიდატი... დღეს ბიძინა ივანიშვილის ხმა ნამდვილად ჩამკვდარია. მე მგონი, ივანიშვილიც გვეთანხმება საზოგადოების დიდ ნაწილს, რომელიც ფიქრობს, რომ დღევანდელი პოლიტიკა სამართავი გახდა პოლიტიკურად ცვედანი და პოლიტიკურად ბერწი პოლიტიკოსების, რომლებიც სამწუხაროდ სათანადო დონეზე ვერ აღმოჩნდნენ და კომპრომეტირებულიც არიან.

„ახალი თაობა“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრის უცნობი დეტალები

გაზეთი არ ასახელებს პიროვნებას, ვისგანაც ეს დეტალები გაიგო.

— პატრიარქი წამომდგარა კიდეც, მაგრამ ვლადიმერ პუტინი პატარა ბავშვივით გამოჰკიდებია უკან, შეუჩერებია, დაუსვამს, მოფერებია, ბოდიში მოუხდია და უთქვამს: — უწმინდესო, გპირდებით, რომ ყველაფერს გავაკეთებ, ყველაფერს მოვაგვარებ იმისთვის, რათა ქართველები აფხაზეთშიც დაბრუნდნენ, ცხინვალშიც და თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ეკლესია-მონასტრები საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში მოექცეს!

„ასავალ-დასავალი“

გელოდებით, მოგბრძანდით! სასწავლებლად

საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ საბაკალავრო კოლეჯთან არსებული ტრენინგ ცენტრი აცხადებს

მე-9, მე-10, მე-12 კლასის მოსწავლეთა, საშუალო განათლების მქონეთა და სტუდენტთა მიღებას შემდეგ კურსებზე:

ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტის — 3 და 6-თვიანი, თვეში 200 ლარის გადახდით;
ბანკის მოლარე-ოპერატორი — 2-თვიანი, თვეში 100 ლარის გადახდით;
კომპიუტერული პროგრამების სწავლების — 2 და 4-თვიანი, თვეში 60 ლარის გადახდით;
ინგლისური ენის სწავლების — 6-თვიანი, თვეში 80 ლარის გადახდით;
მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებლის — 6-თვიანი, თვეში 120 ლარის გადახდით.

მსურველმა ტრენინგ ცენტრში უნდა წარმოადგინოს: განცხადება ტრენინგ-ცენტრის უფროსის სახელზე, პირადობის მომწობის ასლი, ცნობა განათლების შესახებ, თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

საბუთების მიღება იწარმოებს 25 სექტემბრიდან, 10-დან 16 საათამდე.

სწავლა დაიწყება 15 ოქტომბრიდან.

კურსდამთავრებულები მიიღებენ ორენოვან სერტიფიკატებს.

საკონტაქტო მისამართი და ტელეფონი:
ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. 45, VI სართული.
ტელეფონი 231-18-50; 231-14-75; 598 189-987(მობ.).

კოორდინატორი ანა კუჭუხიძე

ციცხალი ანეკდოტები

— რას ჰგავს ეს? ჩემს საწოლში რწყილებია! — უსაყვედურებს იაფფასიანი სასტუმროს მდგმური სართულის მორიგეს.

— არა, ბიჭო, მაგ ფასად ანჯელინა ჯოლის ჩაგიწვენდით საწოლში, აი!

* * *

ტიპი აღსარებაზე მივიდა მღვდელთან:

— მივედი ჩემს გოგოსთან, უცებ კოკისპირულად გაწვიმდა. ჩემთან დარჩიო, მითხრა გოგომ. მეც დავრჩი და შევცოდე.

— ეს ცოდვა არ არის, — ეუბნება მღვდელი.

— მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. მერე დედამისი მოვიდა და ისევ შევცოდე.

— ეს ცოდვა არ არის.

— მაგრამ არც ეს არის ყველაფერი. მამამისი მოვიდა და კვლავ შევცოდე.

— არც ეს არის ცოდვა, შვილო ჩემო, ოღონდ ჩქარა წადი, სანამ წვიმას არ დაუშენია.

* * *

— ჩემი შვილი, უბრალოდ შედევრია!

— რა, ასეთი ლამაზია?

— არა, უცნობი ოსტატის ნამუშევარია.

* * *

— ეძიმო, ვერაფერი გამიგია, როგორ, თერთმეტი წლის განმავლობაში ავად ვიყავი, ახლა კი უცებ გამოვჯანმრთელდი?

— იცით რა, თქვენმა ქმარმა ბიზნესი დაკარგა და...

— რა ქარაგმებით მელაპარაკებით? ჩემს ქმარს საკმაოზე მეტი დანაზოგი აქვს.

— ჰოო! ერთი წუთით მოითმინეთ, ქალბატონო, უფრო ყურადღებით შევამოწმებ თქვენს ბოლო ანალიზებს.

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერეულაძის) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24